დიმიტრი ფირბარი მამუკა კომახია

# ქურთები საქართველოში

თბილისი
2008

უაკ: 94 (=222.5) + 008 (556) + 254
ფ - 62

ბთკკ – პოლიტიკის კვლევის ჯგუფი
BTKK – POLICY RESEARCH GROUP

წიგნი გამოიცა *ბთკკ-პოლიტიკის კვლევის ჯგუფის* ეთნიკური უმცირესობების პროგრამის ფარგლებში.

წიგნში განხილულია საქართველოში მცხოვრები ქურთების ყოფა-ცხოვრება, რელიგია, კულტურა, განათლება, მასმედია და ორგანიზაციების საქმიანობა. ასევე ქართველებსა და ქურთებს შორის არსებული ისტორიული კავშირები. განკუთვნილია საქართველოში მცხოვრები ქურთების საკითხით დაინტერესებულ მკვლევართა და ფართო მკითხველისათვის.

გამომცემლობის რედაქტორი: ლამარა ბახტაძე
კომპიუტერული დიზაინი: დიმიტრი სიჩანინ

გარეკანზე: მაქს ტილკეს ნახატი

© 2008 დიმიტრი ფირბარი, მამუკა კომახია

ISBN 978-9941-0-0688-3

## სარჩევი


შესავალი ........................................ 5

ქართულ-ქურთული ურთიერთობების ისტორია ........................................ 11

ეზიდური რელიგია ........................................ 35

- ეზიდიზმის წარმომავლობა ........................................ 38
- წმინდა ტექსტები ........................................ 41
- კოსმოგონია და ესქატოლოგია ........................................ 45
- ლოცვა, მარხვა და დღესასწაულები ........................................ 47
- რელიგიური აკრძალვები ........................................ 50
- ეზიდური საზოგადოების სტრუქტურა ........................................ 51
- ეზიდთა სასულიერო კრება და რელიგიური თანამდებობები ........................................ 57
- თანამედროვე რელიგიური პრობლემები ........................................ 60
- რელიგია - ეთნიკური თვითშეგნების ფორმირების ფაქტორი ........................................ 62

გვარების საკითხი ........................................ 66

განათლება ........................................ 68

კულტურა ........................................ 75

მასმედია ........................................ 78

ორგანიზაციები ........................................ 82

ბიბლიოგრაფია ........................................ 87

გეოგრაფიულ სახელთა და პირთა საძიებელი ........................................ 97

Summary ........................................ 105






# შესავალი

თანამედროვე საერთაშორისო პოლიტიკაში ქურთთა საკითხი ერთ-ერთი მნიშვნელოვანია. ამერიკელი ანალიტიკოსის რობერტ კაპლანის შეფასებით XX საუკუნეში ახლო აღმოსავლეთში მთავარი მოვლენა არაბულ სამყაროსა და ისრაელს შორის არსებული კონფლიქტი იყო. XXI საუკუნის დასაწყისში ამგვარ მოვლენად შეიძლება იქცეს თურქეთში, სირიასა და ერაყში მომხდარი ცვლილებები, რაშიც ქურთული ნაციონალიზმი ისეთივე აქტუალური საკითხი შეიძლება გახდეს, როგორიც პალესტინური ნაციონალიზმია.[1]

ქურთები ძირითადად ახლო აღმოსავლეთის ოთხ ქვეყანაში, ე.წ. ისტორიული ქურთისტანის ტერიტორიაზე არიან განსახლებულნი. სამეცნიერო ლიტერატურაში ისტორიული ქურთისტანი გეოგრაფიული და ეთნოგრაფიული ტერმინია და არა განსაზღვრული პოლიტიკური საზღვრების მქონე დამოუკიდებელი სახელმწიფოს სახელი.[2] ქურთისტანის ტერიტორიის ფართობი დაახლოებით 450 ათასი კვ/კმ-ია, აქედან თურქეთის ქურთისტანს უკავია 230 ათასი კვ/კმ, ირანის - 125 ათასი, ერაყის - 80 ათასი, სირიისას კი - 15 ათასი. მსოფლიოს ქურთული მოსახლეობის დაახლოებით 48% ცხოვრობს თურქეთში, 25% - ირანში, 17% - ერაყში, სირიაში - 4%,[3] ქურთების დანარჩენი ნაწილი კი ყოფილი საბჭოთა კავშირისა და დასავლეთის ქვეყნებშია მიმოფანტული. დაუზუსტებელი მონაცემებით, მსოფლიოში 30 მილიონზე მეტი ქურთი ცხოვრობს. მათი ზუსტი რაოდენობის განსაზღვრა შეუძლებელია, რადგან ახლო აღმოსავლეთის ის სახელმწი-

1 Robert D. Caplan, „Redrawing the Mideast Map", *New York Times*, 21 February, 1999.

2 Амоев К., „Курдские диаспоры за рубежом, проблемы и перспективы", *Perspective-XXI*, თბილისი, 2005, 10.

3 დაუზუსტებელი მონაცემებით თურქეთში 14 მლნ ქურთი ცხოვრობს, ირანში - 6 მლნ, სირიაში - 1 მლნ, ერაყში - 4.6 მლნ; *The Economist*, 6 September, 2007.

ფოები, სადაც ქურთები კომპაქტურად ცხოვრობენ, ქურთების სეპარატიზმის შიშით, მათ ზუსტ რაოდენობას შეგნებულად არ ასახელებენ.[4]

ქურთმა ლიდერებმა, ქურთული მოსახლეობის მრავალრიცხოვნობის მიუხედავად, რეგიონის სახელმწიფოების ავტოკრატიული მმართველობისა და მუდმივი შიდა დაპირისპირების გამო, ვერ შეძლეს დამოუკიდებელ პოლიტიკურ ერთეულად ჩამოყალიბება. დამოუკიდებელი ქურთული პოლიტიკური ერთეულის შექმნა რეალური მხოლოდ XX საუკუნის 90-იან წლებში გახდა, როდესაც ერაყის დიქტატორის სადამ ჰუსეინის წინააღმდეგ აშშ-ის მიერ ორგანიზებულ სამხედრო კოალიციაში ქურთებმა მნიშვნელოვანი როლი შეასრულეს.

ქურთების პროამერიკულმა პოზიციამ 2003 წელს ერაყში სადამ ჰუსეინის რეჟიმის დამხობას შეუწყო ხელი. ერაყის დიქტატორის დამარცხებამდე კი, ვაშინგტონის მხრიდან ზეწოლის შედეგად, საბოლოოდ მოხერხდა ურთიერთდაპირისპირებული ქურთული პოლიტიკური ჯგუფების გაერთიანება, რომლებიც დღეს ჩრდილოეთ ერაყის ქურთებით დასახლებულ ტერიტორიას ფაქტობრივად დამოუკიდებლად მართავენ. თანამედროვე მსოფლიო და თავად ქურთები ქურთული სახელმწიფოს შექმნის შესაძლებლობას ყველაზე რეალურად სწორედ ჩრდილოეთ ერაყში, ანუ სამხრეთ ქურთისტანში ხედავენ, საიდანაც ქურთი ლიდერების აზრით, დიდი ქურთული სახელმწიფოს შექმნის პროცესი უნდა დაიწყოს. დღეს ხშირად საუბრობენ ერაყში ფედერალური სახელმწიფოს შექმნაზე, რომელიც ქურთულ, სუნიტურ და შიიტურ ნაწილებად დაიყოფა. რაც შემდგომში შესაძლოა დამოუკიდებელი ქურთული სახელმწიფოს შექმნის წინა პირობაც გახდეს.[5]

4 „Курдистан-98". *АЗИЯ и АФРИКА сегодня*, 2/1998, 2.

5 Ilan Berman, „Flawed federalism", *The Washington Post*, 19 October, 2007.

ერაყში მცხოვრებმა ქურთებმა თუკი უახლოეს 5-10 წელიწადში შეძლეს საზღვრების [6] უსაფრთხოების უზრუნველყოფა, ეკონომიკური ცხოვრების გაუმჯობესება, ზოგიერთი დემოკრატიული ინსტიტუტის შექმნა და დანარჩენ ერაყში არსებული არეულობის მიღმა დარჩენა, მსოფლიოს შესაძლოა გაურთულდეს ქურთების თვითგამორკვევაზე უარის თქმა.[7]

საქართველოსთვის ქურთული საკითხის აქტუალობა შეიძლება აიხსნას ორი მიზეზით: პირველი, საქართველო ახლო აღმოსავლეთის მეზობელი ქვეყანაა და რეგიონში მიმდინარე ნებისმიერი სერიოზული სამხედრო-პოლიტიკური ცვლილება გავლენას მოახდენს ჩვენს ქვეყანაზეც. მეორე, საქართველოში უკვე მრავალი ათეული წელია ცხოვრობენ ქურთები, რომელთა შესახებ ქართულ საზოგადოებას მწირი ინფორმაცია გააჩნია.

აღნიშნული წიგნი ეხება ქართულ-ქურთულ ურთიერთობებს, საქართველოში ქურთების დასახლებას, მათ ისტორიას. განსაკუთრებული ყურადღება კი ეთმობა მათ რელიგიას, რომლის შესახებაც არათუ ქართულ საზოგადოებას, არამედ ზოგადად მსოფლიოსაც ბუნდოვანი წარმოდგენა აქვს. საქართველოში მცხოვრები ქურთები ეზიდური რელიგიის მიმდევრები არიან, რელიგიისა, რომელმაც დიდი როლი შეასრულა მათ ცნობიერებაში.

სამეცნიერო ლიტერატურაში ეზიდური რელიგიის მიმდევარი ქურთების აღმნიშვნელი მრავალი ტერმინი არსებობს, ქურთი ეზიდი, ეზიდი ქურთი, ეზიდი და ა.შ. დღეს მიმდინარეობს დავა თუ როგორ განსაზღვრონ ეზიდები, როგორც ქურთული ეთნიკური ჯგუფის განუყოფელი ნაწილი, ქურთულ ეთნიკურ ჯგუფში შემავალი სუბეთნოსი, სუბეთნოკონფესიური ჯგუფი, ეთ-

6 იგულისხმება ჩრდილოეთ ერაყის ის ტერიტორია, სადაც ქურთისტანის რეგიონული მთავრობის იურისდიქცია ვრცელდება.

7 „Iraqi Kurdistan: Does independence beckon?", *The Economist*, 6 September, 2007.

ნოკონფესსია, თუ როგორც დამოუკიდებელი ეთნიკური ჯგუფი.

ეზიდების ირგვლივ შექმნილი მსგავსი გაურკვევლობა რამდენიმე ფაქტორით არის გამოწვეული. კერძოდ, საუკუნეების განმავლობაში მტრულ გარემოში მცხოვრები ეზიდები მუდმივად განიცდიდნენ დევნასა და შევიწროებას, მათ შორის, ახლად გამუსლიმანებული ქურთების მხრიდან. აღნიშნულმა მოვლენებმა გამოიწვია ეზიდების იზოლაცია დანარჩენი ქურთებისაგან და მათი ეთნოკონფესსიურ ჯგუფად ჩამოყალიბება.

ის სახელმწიფოები, სადაც ეზიდები ცხოვრობენ, ეზიდთა საკითხს ყოველთვის იყენებდნენ და დღესაც იყენებენ პოლიტიკური მოსაზრებებით. მაგალითად, სადამ ჰუსეინი ეზიდებს არაბებად აცხადებდა და მათ ქურთებს უპირისპირებდა. საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ კი სომხეთში შეიქმნა ტენდენცია ეზიდების ცალკე ეთნიკურ ჯგუფებად დაყოფისა, რასაც სომეხ მეცნიერთა ნაწილიც[8] ხელს უწყობდა. თუმცა, ამგვარი მოსაზრების ძირითად არგუმენტად მოჰყავთ თავად ეზიდი მოსახლეობის ნაწილის განცხადებები, რომელიც თავს ქურთებისაგან დამოუკიდებელ ეთნოსად მიიჩნევს.

XX საუკუნეში ეზიდი ინტელიგენციის უმრავლესობა ეზიდებს ქურთული ეთნოსის განუყოფელ ნაწილად მიიჩნევდა და მათ მომავალს ქურთებთან თანაცხოვრებას უკავშირებდა. ინტელიგენციის ძირითადი არგუმენტი საერთო სალაპარაკო ენას უკავშირდებოდა. ისტორიული ქურთისტანის ტერიტორიაზე ქურთული ნაციონალიზმის აღმავლობამ XX საუკუნის მეორე ნახევარში და ქურთული პოლიტიკური პარტიების გააქტიურებამ ხელი შეუწყო ამ მოსაზრების გავრცელებას, ვინაიდან ამ პარტიების ლიდერები აცხადებენ, რომ ეზიდები არიან წმინდა და ჭეშმარიტი ქურთები, რომლებმაც ძველი ქურთული ტრადიციე-

8 Сармакешян Г., Геворкян З., Мирзоян Т., „Политика государства должна строится на основе научных знаний", www.golos.am, 21/12/ 2006.

ბი შემოინახეს.

სადამ ჰუსეინის რეჟიმის დამხობის შემდეგ, ერაყის ქურთისტანში მუსლიმანი ქურთების რელიგიურობის გაძლიერება შეინიშნება,[9] რაც ეზიდებზე გარკვეულ გავლენას ახდენს. ბოლო პერიოდში გახშირდა მუსლიმანი ქურთების მხრიდან ეზიდების შევიწროების ფაქტები, რაც ეზიდების დანარჩენი ქურთებისაგან დაშორების პროცესს აღრმავებს. თუ აქამდე ეზიდთა ინტელიგენცია ქურთულ საკითხებში აქტიურად მონაწილეობდა, ბოლო პერიოდში სულ უფრო გულგრილი ხდება საერთო ქურთული საკითხების მიმართ.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე წიგნის ავტორების აზრით, მიუხედავად იმისა, რომ ეზიდები კურმანჯიზე (ქურთული ენის ჩრდილო დიალექტზე) საუბრობენ და დანარჩენ ქურთებთან საერთოც ბევრი აქვთ, მათ საუკუნეების განმავლობაში ისტორიული კატაკლიზმების შედეგად, რელიგიის ნიადაგზე ქურთებისაგან განსხვავებული თვითშეგნება ჩამოუყალიბდათ (ქცევის განსაკუთრებული სტერეოტიპი, ზოგიერთ შემთხვევაში განსხვავებული ეროვნული ტანსაცმელის ტარება და ა.შ.). მუსლიმანი ქურთების მხრიდან ეზიდთა მიმართ შევიწროების ფაქტები თუ არ შემცირდა, მათი გაუცხოების ტენდენცია კიდევ უფრო გაძლიერდება.

წინამდებარე წიგნის ავტორები მიზანშეწონილად მივიჩნევთ ეზიდური რელიგიის მიმდევარი ქურთების აღმნიშვნელ ტერმინად ვიხმაროთ ეზიდი, ყველა დანარჩენ შემთხვევაში კი, როდესაც ზოგადად ქურთებზეა საუბარი (განურჩევლად რელიგიური კუთვნილებისა) - ტერმინი ქურთი.

9 სადამ ჰუსეინის მმართველობის პერიოდში ქვეყნის ცხოვრებაში ისლამი სუსტ როლს ასრულებდა.

# ქართულ-ქურთული ურთიერთობების ისტორია

ქურთების წარმომავლობის შესახებ მრავალი მეცნიერული ვერსია არსებობს. მეცნიერებაში დამკვიდრებული შეხედულებით ქურთი ხალხის ჩამოყალიბებაში დიდი წვლილი შეიტანეს ზაგროსის უძველესმა აბორიგენებმა და ირანული მოდგმის ტომებმა. მათი წარმომავლობის უძველესი ფესვები ნათესაურ კავშირშია მიდიელებთან. ცნობილი ქურთოლოგი მინორსკი მიიჩნევდა, რომ ქურთები მიდიელთა შთამომავლები არიან.[10] ნიკო მარის საინტერესო მოსაზრებით, ქართველები და ქურთები ძველი ხალხის, კარდუხების (ვანის ტბის სამხრეთით სახლობდნენ) შთამომავლები არიან. მარის შეფასებით, ქურთთა წინაპრების, ანუ კარდუხების ენა კავკასიური ენების მონათესავე იყო და ქურთების ირანიზაცია რეგიონში ირანული ტომების გაძლიერების შედეგად მოხდა.[11]

სამხრეთ კავკასიის მოსაზღვრე რაიონებში ქურთების პირველ გამოჩენას ისტორიული წყაროები უძველესი პერიოდიდან აღწერს. ცნობილია, რომ სპარსეთში ჯერ კიდევ სასანიდების დინასტიის მმართველობის დროს ქურთები სამხრეთ კავკასიის მოსაზღვრე რაიონებში დასახლდნენ. არაბთა დაპყრობითი ომების დროს კი ქურთები გამოჩდნენ სომხეთისა და აზერბაიჯანის ტერიტორიებზეც, სადაც X საუკუნეში შედადიდებისა და რავადიდების დამოუკიდებელი ქურთული დინასტიები დამკვიდრდნენ.[12]

10 ამ საკითხზე იხ.: Минорский В., *Курды*, Петроград, 1915.

11 Марр Н., *Еще о слове челеби. К вопросу о культурном значении курдской народности в истории Передней Азии*, ЗВОРАО, 1910. 20.

12 Луконин В., *Культура Сасанидского Ирана*, Москва, 1969, 125; Чарказе Раш, *Из истории русско-курдских сношений. Курдистан на перекрестках истории и политики (доклады научной конференции)*, Москва, 1994, 143-152.

მეცნიერთა ვარაუდით, საქართველოს ტერიტორიაზე ქურთები, როგორც მებრძოლები, პირველად არაბთა ლაშქრობების დროს გამოჩნდენ. X საუკუნიდან კი შედადიდთა ქურთული დინასტიის გაძლიერების პერიოდში მათი საქართველოსთან ურთიერთობა უფრო მჭიდრო გახდა. XII საუკუნეში ქურთები ისე გაძლიერდნენ, რომ კავკასიაში ბატონობისათვის ქართველ მეფეებს უწევდნენ მეტოქეობას. შედადიდთა სახელმწიფოს დაცემის შემდეგ მრავალი ქურთული ოჯახი საქართველოში გადმოსახლდა. ცნობილია, რომ ზოგიერთი ოჯახი შემდგომში ქართველი მეფის სამსახურში ჩადგა. მათ შორის იყო ქურთული წარმოშობის მხარგრძელების გვარი. სარგისის ოჯახს, კერძოდ, მის ორ ვაჟს - ივანე და ზაქარია მხარგრძელებს ქართველ მეფეთა კარზე სახელმწიფო თანამდებობები ეკავათ. ისინი მაღალი რანგის სამხედროები იყვნენ და XII-XIII საუკუნეებში სომხეთის მნიშვნელოვან ნაწილს მართავდნენ.[13]

ქართველმა ისტორიკოსმა შოთა მესხიამ მხარგრძელთა წარმოშობის კვლევისას მრავალ ისტორიულ წყაროზე დაყრდნობით დაასკვნა, რომ მხარგრძელები ქურთული წარმოშობის გვარია. ძველი სომეხი ისტორიკოსები - კირაკოს განძაკეცი, ვარდანი, ზაქარია სარკავაგი და სხვანი ერთმნიშვნელოვნად უსვამენ ხაზს მხარგრძელთა ქურთულ ფესვებს. ზაქარია სარკავაგი ასეთ ცნობებს გვაწვდის: „ბაბილონის ქვეყანაში იყო ვინმე კაცი ქრისტიანი, სახელად ზაქარია, რომელიც მარებმა (ქურთებმა) დასვეს თავიანთ მთავრად, ვერ მორიგდა მათთან და იქ ცხოვრება აღარ შეძლო; გამოძებნა ხელსაყრელი დრო, შეკრიბა მთელი სახლეული, მონები და მონამხევალნი და მთელი თავისი ქონებით, ბაბილონის ქვეყნიდან წამოსული, გადავიდა სპარსეთში. აქედან შეუმჩნევლად გადავიდა სომხეთის საზღვრებში და

13 ამ საკითხზე იხ.: შოთა მესხია. *სამინაო პოლიტიკური ვითარება და სამოხელეო წყობა XII საუკუნის საქართველოში*, თბილისი, 1979.

გაემართა საქართველოსკენ“.[14]

როგორც ჩანს, ქურთები ქართველებს უძველესი დროიდან იცნობდნენ. ქართველები (გურჯები) ქურთი ხალხის მდიდარ ფოლკლორშიაც კი მოიხსენიება. XV საუკუნის ქურთი პოეტი ფაყიე ტაირანი თავის პოემაში „შეიხი სანაანი“ ქართველ ქალწულზე შეყვარებული სუფიების შეიხის თავგადასავალს ყვება. ხალხში ეს პოემა „დოტა გურჯას“ (ქართველთა ქალწული) სახელწოდებით არის გავრცელებული. სიტყვა „გურჯი“ კი მთელ ქურთისტანში ლამაზის სინონიმია.

შუა საუკუნეებში ქართველები მოხსენიებული ჰყავს ცნობილ ქურთ პოეტს აჰმად ხანის (XVII ს.) თავის პოემაში „მამე და ზინი“:

„მათ ბრძოლით აიღეს განთქმული ქალაქი,
დაიპყრეს დიდი ქვეყანა.
მათი ყოველი ამირი
ხელგაშლილობით ჰათამს ჰგავს
და სიმამაცით რუსტამს ედრება.
გახედე! არაბებიდან ქართველებამდე
ქურთები კოშკებად დგანან.
რუმი და აჯამი ალყაში მოექცა,
ქურთები გარს შემოფენილან.“

ქართველებისა და ქურთების კავშირი დაფიქსირებულია ოსმალეთის სულთნის სულეიმან ბრწყინვალის (1520-1566 წ.წ.) დროს, როდესაც ქურთების პოზიციები სამხრეთ კავკასიის მოსაზღვრე რაიონებში მყარი იყო. სულთანი თავად უწყობდა ხელს მებრძოლი ქურთული ტომების დასახლებას სამხრეთ კავკასიის

14 ამ საკითხზე იხ.: შოთა მესხია. *სამინაო პოლიტიკური ვითარება და სამოხელეო წყობა XII საუკუნის საქართველოში*, თბილისი, 1979.

საზღვრისპირა რაიონებში, რათა მოეგერიებინა ქართველებისა და ჩერქეზების შემოტევები. ამ მოვლენას ქურთული წარმოშობის იდრის ჰაქიმის სახელსაც უკავშირებენ, რომელიც სულთნის მრჩეველი იყო. შემდგომში სწორედ მას დაევალა ჩრდილოეთით, სამხრეთ კავკასიის სიახლოვეს, ქურთების დასახლების ორგანიზება.

ქურთმა ბეგებმა და აღებმა განსაკუთრებულ დიდებას მაშინ მიაღწიეს, როდესაც სულეიმან ბრწყინვალემ ისინი ირანსა და ბაღდადზე გასალაშქრებლად მიიწვია. სულთანმა მათ ტიტულები უბოძა, ნაწილს კი დამსახურებისამებრ გადასცა ოლქები – საქართველოდან ბაღდადამდე და ბასრიდან ეგვიპტემდე, ციხესიმაგრეები, ქალაქები, რაიონები და სოფლები.[15]

ქურთი ისტორიკოსი მალა მაჰმუდ ბაიაზიდი ნაშრომში „წიგნი ქურთისტანის ახალი ისტორიისათვის" გადმოგვცემს, რომ სულთან სულეიმანს დედა ეკითხება კავკასიის საზღვრებთან სამხედრო საქმეების მდგომარეობის შესახებ: „თურქეთ-სპარსეთის საზღვრის გასწვრივ, იქ სადაც აუცილებელი იყო სპარსელებისა და ქართველების თავდასხმებისაგან ოსმალთა ტერიტორიებისა და საზღვრების დაცვა, ქურთული ტომების დასახლებისთანავე ააგეს გამაგრებები და ციხესიმაგრეები. როდესაც სულეიმან ბრწყინვალე სტამბოლში დაბრუნდა, დედამ შემდეგი სიტყვებით მიმართა: „შვილო ჩემო, შენ დაბრუნდი, მაგრამ ქართველები და ყიზილბაშები არ დაესხმიან თავს შენს ოლქებს და არ მიაყენებენ მას ზიანს?." სულთანმა უპასუხა: „დედა ჩემო, მე ავაგე მტკიცე კედელი ოსმალთა იმპერიასა და ქართველთა და ირანელების სახელმწიფოებს შორის, მტერი ვერ შეძლებს რაიმე ზიანის მიყენებას." „როგორ შეძელი, ჰკითხა მან, ამგვარ დიდ სივრცეზე კედლის აშენება?" სულთანმა უპასუხა: „დედა, მე ავაშენე ის

15 Васильева Е., „Книга по истории Курдистана, которая остается ненайденной", *Курдский альманах*, №1, Центр курдских исследований, Москва, 2001, 86.

ხორცისა და სისხლისაგან, მე დავავალე ამ რაიონების მმართველობა ქურთულ ტომებს, მე ისინი მწკრივში ჩავაყენე, როგორც საველე გამაგრება საქართველოდან ბაღდადამდე, ბასრიდან შაჰრიზურამდე. მტერი ვერ შეძლებს მათი გვერდის ავლით ისლამის სახელმწიფოში შემოჭრას." [16]

ქართულ-ქურთული ურთიერთობების შესახებ მრავალი ფაქტი მოიპოვება სპარსულ და ქურთულ ისტორიულ წყაროებშიც. ცნობილია, რომ ირანის ქურთისტანის არდალანის საამიროს რამდენიმე გამგებელი ქართველი იყო: თემურ ხან აჯარლუ[17] (1682 1688 წ.წ.), მუჰამად ხან გურჯი (1701/2 1704/5 წ.წ.), მუჰამად რეზა ბეგ გურჯი (1746 – 1747 წ.წ.), ხოსროვ ხან გურჯი (1847 წ.)[18]. არდალანის საამირო აღმოსავლეთ ქურთისტანის (ირანის ქურთისტანი) პოლიტიკური და კულტურული ცენტრი იყო. აქ მრავალი სამეცნიერო ცენტრი არსებობდა, რომლის განვითარებასაც ქურთი ამირები უწყობდნენ ხელს. არდალანის ამირები საკუთარ მონეტებსაც კი ჭრიდნენ. არდალანის ქართველი გამგებლები მუსლიმანები იყვნენ და სპარსეთის პოლიტიკურ ცხოვრებაში აქტიურად ერეოდნენ.[19]

ქურთებისა და ქართველების ურთიერთობის შესახებ ისტორიული ცნობები ქართლ-კახეთის მეფის ერეკლე II დროსაც მოგვეპოვება, როდესაც მეფე, რუსების მხარდაჭერის იმედით, 1770 წელს, ანტიოსმალური კოალიციის შექმნას შეეცადა. დღემდე შემონახული დოკუმენტების მიხედვით, ერეკლე II-სთან

16 Васильева Е., „Книга по истории Курдистана, которая остается ненайденной", *Курдский альманах*, №1, Центр курдских исследований, Москва, 2001, 86.

17 ნიშნავს აჭარელს.

18 კარლო კუცია, „ირანის ქურთული საამიროს – არდალანის ქართველი გამგებლები (მე-17 საუკუნის ბოლო – მე-19 საუკუნის პირველი ნახევარი)", *თსუ შრომები*, №338, 2001, 77.

19 ამ საკითხზე იხ.: Хосров-ибн Бани Ардалан, *Хроника (История курдского княжеского дома Бани Ардалан)*, 1984; Мах Шараф-ханум Курдистани, *Хроника дома Ардалан (Тарихи Ардалан)*, Москва, 1990; Амоев К., „Курдские диаспоры за рубежом, проблемы и перспективы", *Perspective-XXI*, თბილისი, 2005, 10-17.

დაკავშირებას ასურელები და ეზიდები ცდილობდნენ. ერთ-ერთ წერილში ასურელთა ეპისკოპოსი ისაია ერეკლე II სწერდა, რომ იგი ქურთისტანში იმყოფებოდა, სადაც ეზიდებს შეხვდა, რომლებიც, თავის მხრივ, ასევე ითხოვენ მფარველობას ერეკლესაგან.[20]

1770 წლის მარტში საქართველოში მოვიდა შეტყობინება, რომ ერეკლე II თხოვნა დაკმაყოფილდა და რუსეთის ჯარის დამხმარე ძალები გზაში არიან. ერეკლე II ბრძოლის დაწყება გადაწყვიტა და გენერალ ტოტლებენს ახალციხის მიმართულებით ერთობლივი ოპერაცია შესთავაზა.[21] თურქების წინააღმდეგ ბრძოლაში ერეკლე II ასურელებისა და ეზიდების დახმარების იმედიც ჰქონდა, რადგან ეზიდების მთავარი ჩობან აღა და ასურელთა კათალიკოსი სიმონი თურქების წინააღმდეგ ერთობლივ ბრძოლაზე ერეკლე II წერილებს სწერდნენ. რუს გრაფ ნ. პანინისადმი მიწერილ წერილში ერეკლე II წერს: „ეს ჩობან ოღლი, რომელიც არის გვარათ იეზიდი, ეს არც არის ქრისტიანი და არც მაჰმადიანი. მიმდეგი უფრო ქრისტიანეთა და წინააღმდეგი არის მაჰმადიანთი. ამასაც სურს ჩვენი შემოერთება, რომელნიც ესენი დიდათ შეჭირვებული არიან მაჰმადიანთაგან." თავისი გეგმის განხორციელება ერეკლე II ტოტლებენის ღალატის გამო ვერ შეძლო, რის გამოც ანტიოსმალური კოალიცია არ შედგა.

ამ პერიოდში სულთნისა და ზოგიერთი ქურთული ტომის ერთიანობა დიდ სამხედრო ძალას წარმოადგენდა, ამიტომაც ირანი და რუსეთი ქურთული ტომების მომხრობას ცდილობდნენ. ამგვარი ვითარება XIX საუკუნის დასაწყისამდე გაგრძელდა, ერევანის სახანოსა და საქართველოს რუსეთთან შეერთების

20 Мачарадзе В., *Грузинские документы по истории грузино-курдско-ассирийско-русских взаимоотношений (60 - 70-х гг. XVIII века)*, Тбилиси, 1989.

21 ამ საკითხზე იხ.: მაჭარაძე ვ., *ასპინძის ბრძოლა*, თბილისი, 1957.



АВПР. Ф. Сн. России с Грузией. 1769–1776 гг., оп. 110/2, д. 12, л. 126

ჩობან ალას წერილი ერეკლე II-სადმი

შემდეგ კი ვითარება შეიცვალა. ამავე პერიოდში აგრეთვე შეიცვალა ბრწყინვალე პორტას დამოკიდებულება ქურთი ბეგებისა და აღების მიმართ. სულთანი უკვე ქურთების ძალაუფლების შეზღუდვასა და დამოუკიდებელი ქურთული სამფლობელოების გავლენის შეკვეცას იწყებს. მრავალი ქურთი დიდებული საუკუნეების განმავლობაში იძულებული იყო ლავირება მოეხდინათ სპარსეთისა და ოსმალთა იმპერიას შორის, XIX საუკუნიდან კი ირანელებსა და თურქებს რუსებიც დაემატა. ქურთ დიდებულებს შორის ზოგიერთი პრორუსულ ორიენტაციას ირჩევდა, რადგან ისინი რუსეთში იმ განმანთავისუფლებელს ხედავდნენ, რომელიც მათ დამოუკიდებელი ქურთული სახელმწიფოს შექმნაში დაეხმარებოდა.

ქურთები XIX საუკუნეში, რუსულ-თურქული ომების დროს, ორივე მეომარი მხარის განსაკუთრებულ ყურადღებას იპყრობდნენ. რუსი და თურქი სამხედროები ქურთების ომში მონაწილეობას დიდ მნიშვნელობას ანიჭებდნენ. რუსები კავკასიის მცხოვრებლებისგან პოლკებს აყალიბებდნენ, რომლებიც რუსეთ-თურქეთის ომში მონაწილეობდნენ. მათ რიგებში ქურთებიც ირიცხებოდნენ. რუსების მხარეს 1829 წელს მებრძოლ ქურთებს შორის ჰასნის ტომის ეზიდი მხედრებიც იყვნენ, რომლებსაც ჰასან აღა ხელმძღვანელობდა. ქურთულ ტომებს შორის ეზიდები ყველაზე მეტად ილტვოდნენ რუსეთისაკენ, რაც მათ მიმართ მუსლიმანების ნეგატიური დამოკიდებულებით იყო განპირობებული. თუ ქურთები მხოლოდ თურქების წნეხის ქვეშ იმყოფებოდნენ, ეზიდები განიცდიდნენ ორმაგ წნეხს, თურქებისა და მუსლიმანი ქურთების მხრიდან.

სამხრეთ კავკასიაში ცალკეული ქურთული ტომების გადმოსახლება XIX საუკუნის პირველ ნახევარში რუსეთ-თურქეთის ომების (1804-1813 წ.წ. და 1826-1828 წ.წ.) დროს აქტიურდება. 1813 წლის გიულისტანის შეთანხმების შედეგად რუსეთის იმპერიის შემადგენლობაში აღმოჩნდა სპარსეთის იმპერიის ყო-

ფილი ტერიტორიები. ამ ტერიტორიისადმი სწრაფვა ქურთმა ლტოლვილებმაც დაიწყეს. 1828 წლის თურქმანჩაის შეთანხმების შედეგად რუსეთის შემადგენლობაში სხვა ქურთული ტომებიც მოექცნენ.

ამ პერიოდში რუსები არცთუ ისე ძლიერად უტევდნენ თურქებს, რის გამოც ქურთთა ლიდერებს ბრძოლაში ღიად ჩაბმა უძნელდებოდათ. 1828 წლის ივნისის შუა რიცხვებში, როდესაც რუსებმა თურქების წინააღმდეგ სამხედრო ოპერაცია დაიწყეს, ბაპლულ ფაშამ ვერ გაბედა ბრძოლაში ჩაბმა. მან გაიგო რა რუსები მცირერიცხოვანნი იყვნენ, სულთნისადმი ერთგულების შენარჩუნება გადაწყვიტა და თავად ჭავჭავაძეს განუცხადა თავისი მკვეთრი გადაწყვეტილების შესახებ ბაიაზიდის ბოლომდე დაცვის შესახებ. მუსლიმანი ქურთებისაგან განსხვავებით, ეზიდები თავიდანვე რუსების მხარეს გადავიდნენ.

თავადი ჭავჭავაძე 1828 წლის 15 სექტემბერს გრაფ პასკევიჩს (ანგარიში №1030) სწერს: „პასან-აღას ქურთები ყველა ღონით ცდილობენ საკუთარი ერთგულების დაცვას: ისინი ყველგან პირველნივარდებიან ცეცხლში.“ [22]

ამავე პერიოდში სამხრეთ ქურთისტანში ქურთების, მათ შორის ეზიდების მდგომარეობა უარესდება. 1832 წელს ქურთმა მმართველმა რავანდუზის ამირამ მუპამად ფაშამ თავი დამოუკიდებელ მმართველად გამოაცხადა და მეზობელი ქურთული სამთავროების დაკავება დაიწყო, მან ეზიდური სოფლებიც გაანადგურა. ამის გამო ეზიდთა ნაწილმა ჩრდილოეთით მდებარე რაიონებს შეაფარა თავი.

ქურთების მასობრივი გადმოსახლება უკვე ყირიმის ომისა (1853-1856 წ.წ.) და რუსეთ-თურქეთის ომის (1877-1878 წ.წ.)

22 Аверьянов П. И., *Курды в войнах России с Персией и Турцией в течение XIX столетия. Современное политическое положение турецких, персидских и русских курдов. Исторический очерк*, Тифлис, 1900, 51-52.

შემდეგ იწყება. სამხრეთ კავკასიაში რუსეთის გაძლიერების შედეგად, ქურთი მმართველები, მათ შორის ეზიდები, რუსების მხარეს გადადიან და მათთან თანამშრომლობის შესახებ მოლაპარაკებებს აწარმოებენ. წინაპრების მონათხრობით და წყაროებით ცნობილია, რომ ბაიზიდის შემოგარენში მცხოვრები ეზიდები (XIX საუკუნის 70-იანი წლები) ნელ-ნელა ყარსისაკენ მიემართებიან. ჩვენამდე მოღწეული გადმოცემით, ამავე პერიოდში თბილისში დონდუკოვ-კორსაკოვთან მოლაპარაკებაზე ჩამოვიდნენ ეზიდური ტომის - სიპკის წარმომადგენლები - ალი, ამარიკე პოლატის შვილი, ნპოე მპო და ბადოე მამო.[23]

XX საუკუნის დასაწყისში კი თბილისში რუსეთის მეფისნაცვალთან სხვადასხვა პერიოდში ჩამოვიდნენ ქურთი დიდებულები - აბდურაზაყ ბადრხანი და იუსუფ ქამილ ბეი ბადრხანი, რომლებიც დახმარებას ითხოვდნენ ოსმალეთის იმპერიის წინააღმდეგ. იუსუფ ქამილ ბეი ბადრხანი შემდგომში საქართველოში დარჩა და საგანმანათლებლო მოღვაწეობას ეწეოდა,[24] გარდაიცვალა 1934 წელს.[25]

1878 წელს რუსეთის შემადგენლობაში ქურთების რაოდენობა კიდევ უფრო გაიზარდა ყარსელი და არდაღანელი ქურთების ხარჯზე. რუსეთი ეზიდებისათვის მხსნელად იქცა, რომელსაც ისინი ეროვნული და რელიგიური შევიწროებისაგან უნდა ეხსნა. ეზიდები ყარსის ოლქში 1918 წლამდე იყვნენ.

პ. ი. ავერიანოვი ეზიდების შესახებ თავის წიგნში წერს: „პოლკოვნიკ ლიხუტინის გადმოცემით, რომელიც საკმაოდ იყო დაინტერესებული ქურთებითა და მათ შესახებ დაწვრილებით ცნობებს აგროვებდა, ეზიდები ყველაზე პატიოსანი და მშვიდობისმოყვარენი არიან მთელ ქურთებში და რუსების მიმართ

23 Hecîyê Cindî, *Hewarî*, Yêrêvan, 1967, 77.

24 იგი თბილისში დღევანდელ ქონქაძის 11 ნომერში ცხოვრობდა.

25 Pîr Dîma, „Gora Kamil beg Bedirxanî dike gazîIII," 2006-08-18, www.nefel.com.

ყველაზე მეტ თავდადებასა და ერთგულებას იჩენენ. მათ მიერ მოწოდებულ ინფორმაციას თურქი სამხედროების შესახებ შეგეძლო უფრო დაყრდნობოდი, ვიდრე სხვა ქურთებისა და თვით სომხების ცნობებსაც კი. ისინი ამას ყოველგვარი მოსყიდვისა და ანაზღაურების გარეშე, მხოლოდ ნებაყოფლობითა და საკუთარი რწმენით აკეთებენ.“ [26]

XIX საუკუნის ბოლოს რუსეთის იმპერიაში 300 ათასზე მეტი ქურთული ოჯახი ცხოვრობდა. ისინი ძირითადად დასახლებული იყვნენ ერევნის გუბერნიის სურმალის მაზრაში, ყარსის ოლქში, მთიან ყარაბაღსა და საქართველოში.

1917 წლის ოქტომბრის გადატრიალების შემდეგ, 1918 წლის 3 მარტის ბრესტ-ლიტოვსკის საზავო შეთანხმების თანახმად, თურქეთმა ყველა ის ტერიტორია დაიბრუნა, რომელიც რუსეთმა ომამდე და ომის შემდეგ მიითვისა მცირე აზიის აღმოსავლეთში. ამის გამო ეზიდებმა ვანის ვილაიეთიდან, სურმალიდან და ბაიაზეთიდან თავი სომხეთსა და საქართველოს შეაფარეს.

1914-18 წლებში განხორციელებული გადასახლების ერთ-ერთი მიზეზი იყო ეზიდების მჭიდრო კავშირი რუსებთან, რომელთა უკან დახევის შედეგად ეზიდებს შეეშინდათ თურქებისა და ზოგიერთი ქურთი ბეგების შურისძიების, ამიტომ ჯანგირ აღას მეთაურობით მათ (ვანელი და ბაიაზიდელი ეზიდები) მიატოვეს მშობლიური მხარე და სომხეთისაკენ დაიძრნენ იმ იმედით, რომ ვითარების დამშვიდების შემდეგ უკან დაბრუნდებოდნენ. თუმცა, დროებითი სტუმრები საბჭოთა კავშირის შექმნის შედეგად, როდესაც საზღვრები ჩაიკეტა, სამუდამოდ დარჩნენ.

სომხეთში ეზიდების დასახლებას რუსების მიერ ერევნის სახანოს აღებამ შეუწყო ხელი. პირველად ისინი ალაგიაზის

26 Аверьянов П. И., *Курды в войнах России с Персией и Турцией в течение XIX столетия. Современное политическое положение турецких, персидских и русских курдов. Исторический очерк*, Тифлис, 1900. 100.

მთისპირას, აპარანში სახლდებიან, სადაც ადრე მუსლიმანი ქურთები და აზერბაიჯანელები ცხოვრობდნენ და, რომლებიც აზერბაიჯანსა და თურქეთში გადასახლდნენ. სომხეთში ეზიდების რაოდენობა ნელ-ნელა იზრდებოდა და ასე გრძელდებოდა 1918 წლამდე.

ერთ-ერთ საარქივო მასალაში ვკითხულობთ: „სარაის[27] შემოგარენში ათი ეზიდური სოფელია, სულ ხუთასი კომლი. ყველაზე მეტად ის არის საოცარი, რომ მათ შორის ბევრი რუსულად საუბრობს. ეზიდები ზამთარში საშოვარზე ტიფლისში დადიან. უფრო მდიდრებს სახლებში მეფის სურათებიც აქვთ. ხელმწიფე იმპერატორს ისინი ჩვენ ხელმწიფეს ეძახიან. ჩვენმა კონსულმა ამას წინათ რამდენიმე დღე გაატარა მათ შორის. აქაური ეზიდები რუსეთის ჭეშმარიტი მეგობრები არიან. ისინი ჩვენთვის შეიძლება სასარგებლონი გახდნენ. მხედველობაში უნდა მივიღოთ, რომ ისინი ქურთულად საუბრობენ და ქურთებთან ახლო ურთიერთობას ინარჩუნებენ“.[28]

უფრო მოგვიანებით ეზიდები დასახლებულ ადგილებს იცვლიდნენ და მკვიდრდებოდნენ იქ, სადაც შერეული სომხურ-ეზიდური მოსახლეობა იყო. სომხეთში მცხოვრებ ეზიდებში მიღებულია მათ ორ ნაწილად დაყოფა - აპარანის ეზიდები (ელა ახბარანე) და ელის ეზიდები (ეზდიე ელე), ანუ აშტარაკის, ტალინისა და არარატის ველზე მცხოვრები ეზიდები.

საქართველოში ეზიდები ძირითადად თბილისის ძველ უბნებში ტომობრივი კუთვნილების მიხედვით სახლდებოდნენ. ისინი იკავებდნენ ერთ ქუჩაზე მდებარე სარდაფებსა და ნახევრად სარდაფებს: სოლოლაკში, დიდუბეში, ვორონცოვზე, ჩერქეზოვზე, მიხაილოვზე, ზემელზე, ვერაზე, მეიდანზე და სხვ. ეზ-

27 ვანის ვილაიეთის პატარა დაბა.

28 „Сводка сведений о сопредельных странах, добытых разведкой за время с 1-го мая по 1-е июня 1912 года“, №23-24, Тифлис, 1912, 7.

იდები ქალაქის ქუჩებსა და რაიონებს აქ დასახლებული ტომების სახელით მოიხსენიებდნენ. მაგალითად, „ქუჩა მასაკა, ქუჩა ჩოხრაშა, თახა მანდასორა“ (მასაკის ტომის ქუჩა, ჩოხრაშების ქუჩა,[29] მანდასორის ტომის უბანი).[30]

XIX საუკუნის ბოლოს მცხოვრები თბილისელი ეზიდების შესახებ საინტერესო ცნობებს გვაწვდიან შვედური მისიონერული ორგანიზაციები,[31] რომლებიც სამხრეთ კავკასიის ტერიტორიაზე მოღვაწეობდნენ, კერძოდ, ქ. თბილისში, ყარსში, ერევანსა და აგრიში. ვინაიდან იმ დროს თბილისი კავკასიის ცენტრად ითვლებოდა, მათი ძირითადი ადგილსამყოფელიც ამ ქალაქში იყო. მათ ურთიერთობა ჰქონდათ ეზიდებთან, რომელთა გაქრისტიანებაც დაისახეს მიზნად. შვედი მისიონერები პირველად 1887 წელს იმყოფებოდნენ ირანის ქურთისტანში მუსლიმან ქურთებთან, მათ ეზიდების შესახებ აქ გაიგეს და სარჰადის[32] რეგიონში დაიწყო მათთან კავშირის დამყარება.

XIX საუკუნის ბოლოს ჩრდილოეთ ქურთისტანის რაიონებში საქმიანობდა შვედური მისიონერული ორი ორგანიზაცია - „ქალთა მისიონერული სამუშაო ჯგუფი“ (Kvinnliga Missions-Arbetare) და „შვედური მისიონერული გაერთიანება“ (Svenska Missionsförbundet). „ქალთა მისიონერულმა სამუშაო ჯგუფმა“ 1898 წლიდან მუშაობა სპეციალურად ეზიდების მიმართულებით დაიწყო, რომელსაც (Jesidmissionen) „ეზიდთა მისია“ უწოდეს.

29 დღევანდელი ნინოშვილის ქუჩა.

30 დღევანდელი ვერის უბნის ტერიტორია.

31 შვედი მისიონერების კავკასიაში, კერძოდ, საქართველოში მოღვაწეობისა და ეზიდებთან ურთიერთობის შესახებ შვედეთში მოღვაწე ქურთმა მკვლევარმა როჰატ ალაკომმა შვედეთის არქივებში მოიძია უნიკალური მასალები, რომლებიც თბილისში ეზიდთა პირველ დასახლებებზე მოგვითხრობენ. ალაკომმა ამ თემას მიუძღვნა სტატიაც - „შვედი მისიონერები სარჰადში“. ავტორმა დაგვრთო ნება მის სტატიაში მოცემული მასალები და სურათები აღნიშნულ ნაშრომშიც გამოგვეყენებინა. იხ. Rohat Alakom, „Mîsyonerên swêdî li Serhedê (1898-1921)“, www.nefel.com, 2008-03-02.

32 „სარჰადი“ ქურთულად ნიშნავს „საზღვარზე“ და გულისხმობს რუსეთის, ირანისა და ოსმალეთის იმპერიების მოსაზღვრე ტერიტორიას, ანუ ოსმალეთის იმპერიის ჩრდილო-აღმოსავლეთ პროვინციებს: ვანის ვილაიეთს, ბაიაზედის სანჯაყს, სურმალის მაზრას, ყარსის ოლქს, ერზერუმის მიდამოებს.




სარჰადის რეგიონი

„ქალთა მისიონერული სამუშაო ჯგუფიდან" ეზიდების ნდობით სარგებლობდნენ იდა ობერი (Ida Öberg), მარია ანჰოლმი (Maria Anholm), და „შვედური მისიონერული გაერთიანებიდან" ოლგა მობერი (Olga Moberg) და ელინ სუნდვალი (Elin Sundvall). ქალების გარდა, მისიონერულ საქმიანობას ეწეოდნენ მამაკაცებიც: ვ. სარვე (W. Sarwe), ნ. ე. ჰოიერი (N.E. Höijer) ლ. ე. ჰოგბერი (L.E. Högberg) და ე. ჯ. ლარსონი (E.J. Larsson).

შვედური მისიონერული ორგანიზაციებიდან იდა ობერი იყო პირველი, რომელიც ეზიდებს ეხმარებოდა. XIX საუკუნის ბოლოს იგი თბილისში ცხოვრობდა და 15 წლის განმავლობაში ავადმყოფებს სპეციალურ ვარჯიშებს უტარებდა.[33] შვედი მისიონერების გადმოცემით, „ეზიდები თბილისში ყველაზე ჩამორჩენილ ფენას (pariaklass) წარმოადგენდა. სიღატაკის გამო კი ადგილობრივი მოსახლეობა მათ ბინძურს ეძახდა". მისიონერთა გადმოცემით, ეზიდები XIX საუკუნის ბოლოს თბილისში, ავლაბარში სახლობდნენ და შავ სამუშაოს ასრულებდნენ, ძირითადად მტვირთავებად და მეეზოვეებად მუშაობდნენ.[34]

იდა ობერის გარდა ეზიდებს ვილჰელმ სარვეც ეხმარებოდა, რომელიც თბილისში 1896 წელს ჩამოვიდა. ობერმა და სარვემ ეზიდებისათვის „ჩაის ჯგუფები" შექმნეს,[35] რომელმაც ობერის სიკვდილამდე (1904წ.) იარსება. ობერის გარდაცვალების შემდეგ, სარვემ მისი ხსოვნის პატივსაცემად წერილიც კი გამოსცა, სადაც იგი ამბობს, რომ იდა ობერს ეზიდები ძალზედ უყვარდა და ყველაზე კეთილ და კარგ ხალხად თბილისში ეზიდებს მიიჩნევდა.[36] სხვა წერილში სარვე ხაზგასმით აღნიშნავს, რომ იდა ობერი და მარია ანჰოლმი ეზიდებზე შეყვარებულნი იყვნენ.[37]

33 Ida Öberg, *Jesiderna*, Hemåt, nr mars/1902.

34 Maria Anholm, *I Gogs och Magogs land*, Stockholm, 1895, 441.

35 Wilhelm Sarwe, *Bland Ryssland folk*, vol.I, Stockholm, 1927, 234.

36 Wilhelm Sarwe, *Jesiderna*, När och Fjärran, nr 3, 1905.

37 Wilhelm Sarwe, *Från Kaukasien*, Missionsförbundet, nr 4, 1902.



ეზიდი მუშა თბილისში (მარია ანჰოლმი, 1895)

შვედი მისიონერი მარია ანჰოლმი (1851-1946წ.წ.), რომელიც „ეზიდთა მისიის“ დამაარსებლად ითვლება, პირველად 1893 წელს ჩავიდა თბილისში. აქ გაეცნო იგი ეზიდებს. 1901 1902 წლებში ანჰოლმი კვლავ თბილისშია. მისი დაინტერესება თბილისელი ეზიდების ცხოვრებით კვლავ დიდია და უკვე შვედეთში დაბრუნებულმა მისიონერმა ქალბატონმა მრავალი წერილი გამოაქვეყნა.[38] 1895 წელს ანჰოლმა გამოსცა წიგნი, რომლის მოზრდილი თავი დაეთმო ეზიდებს.[39] 1902 წელს, შვედეთში დაიბეჭდა ცალკე წიგნი, რომელიც 2001 წელს მეორედ გამოიცა სტოკჰოლმში.[40] მარია ანჰოლმი 50 წლის განმავლობაში ცდილობდა ფართო საზოგადოებისათვის გაეცნო ეზიდების ისტორია, მათი ყოფა. იგი გარდაიცვალა 95 წლის ასაკში, 1946 წელს.[41]

„შვედურმა მისიონერულმა გაერთიანებამ“ კავკასიაში მუშაობა 1882 წლიდან დაიწყო.[42] ამ ორგანიზაციამ 1908 წელს ოლგა მობერი (1880 1965 წ.წ.) სპეციალურად მიავლინა თბილისში.[43]

ოლგა მობერი დაახლოებით 7 წელი დარჩა თბილისში. მან ეზიდების მიმართ გამოჩენილი ყურადღების გამო (ეხმარებოდა ობოლ ბავშვებს, ხშირად მართავდა შეკრებებს, იწვევდა ჩაიზე) დიდი ნდობა დაიმსახურა. შეკრებაზე დამსწრეთა რიცხვმა ორმოცდაათს მიაღწია.[44] პირველი მსოფლიო ომის დროს ოლგა

38 Maria Anholm, „Djäfvulsdyrkare“, Hemåt, nr 2, 1895; Maria Anholm, „Jesider och Djäfvulsdyrkare“, Hemåt, januari-1899; Maria Anholm, „Missionen och Österlandets djävulsdyrkare“, Svensk Missionstidskrift, sjunde årgången 1919; Maria Anholm, „Jesiderna“, När och Fjärran, nr 11, 1931; Maria Anholm, „Ett Gammalt missionsintresse“, När och Fjärran, nr 3, 1946.

39 Maria Anholm, *I Gogs och Magogs land*, Stockholm, 1895, 441-448.

40 Maria Anholm, *Jesiderna (djäfvulsdyrkare)*, Stockholm, 1902.

41 Maria Anholm, *När och Fjärran*, nr 9/1946.

42 Vid Ararats fot av E. John Larsson, med bidrag av Olga Moberg och Theod. Anderson, Stockholm, 1919. (Olga Moberg, Bland jesider,.100-109).

43 John Hultvall, *Mission och vision i Orienten*, Stockholm, 1991 (Olga Moberg och Jesidmissionen, 215-244).

44 Vid Ararats fot av E. John Larsson, med bidrag av Olga Moberg och Theod. Anderson, Stockholm, 1919. (Olga Moberg, Bland jesider,100-109.)



მარია ანჰოლმი



ოლგა მობერი ეზიდურ ოჯახთან ერთად თბილისში (1908 წ.)

მობერი სამშობლოში დაბრუნდა, ხოლო მისი თარჯიმანი კასჩა იბრაჰიმ თემროსი აშშ-ში გადავიდა საცხოვრებლად.

თბილისში მისიონერებსა და ეზიდებს ბევრი მეგობარი ჰყავდათ, მათ შორის ასურელი იბრაჰიმ თემროსი და სომეხი მ. ა. ტერ-ასატურიანცი. ისინი გარკვეული პერიოდი შვედეთში ცხოვრობდნენ და ეზიდების შესახებ წერილებს აქვეყნებდნენ. კასჩა იბრაჰიმ თემროსი (28/11 1913 წ.) წერდა, რომ ეზიდურ სოფლებში ქადაგების დროს ქრისტეს ხსენებაზე ეზიდები ტაუსი მალაქს[46] ახსენებდნენ.[46]

რუსეთში ოქტომბრის გადატრიალების შემდეგ (1917 წ.) მისიონერებმა კავკასია დატოვეს, მხოლოდ ელინ სუნდვალი (1853-1921 წ.წ.) დარჩა ეზიდებთან სიცოცხლის ბოლომდე. იგი ერევანში გარდაიცვალა. სუნდვალის ოცნება იყო ბავშვთა სახლის გახსნა. ამ მიზნით იგი ერევანში რამდენჯერმე შეხვდა ეზიდთა მეთაურებს - ჯანგირ აღას და უსუვ ბეგს,[47] მაგრამ მიზნის განხორციელებაში პირველმა მსოფლიო ომმა შეუშალა ხელი. ომით გამოწვეული ნგრევა, ეზიდთა დევნა და უბედურება შოკისმომგვრელი იყო სუნდვალისათვის.[48]

შვედ მისიონერთა დიდი მცდელობა გაექრისტიანებინათ ეზიდები შეუძლებელი აღმოჩნდა. მათ გააქრისტიანეს მხოლოდ ერთი პიროვნება – ვინმე მირზა, რომელიც თბილისში ვანიდან[49] იყო ჩამოსული, და წყალს ეზიდებოდა. გაქრისტიანების შემდეგ მას მირზა ისავარი ეწოდა, რაც თურქულად იესოს მოყვარულს ნიშნავს. როგორც მარია ანჰოლმი გადმოგვცემს, გაქრისტიანებიდან რამდენიმე ხანში მირზა გაუჩინარდა.[50]

45 ეზიდურ რელიგიაში მთავარი ანგელოზი.

46 Kascha Ibrahim Temros, *Jesiderna*, När och Fjärran, nr 1, 1914.

47 იგივე.

48 იგივე.

49 მდებარეობს თანამედროვე თურქეთის ტერიტორიაზე.

50 Maria Anholm, *Missionen och Österlandets djävulsdyrkare*, Svensk Missionstidskrift,

ეზიდების რამდენიმე ოჯახი, თბილისის გარდა, საქართველოს სხვადასხვა მხარეშიც დასახლდა. ბათუმში ცხოვრობდნენ და მათი მცირე ნაწილი დღესაც ცხოვრობს სიპკის, დაუდის, როჟკის ტომიდან, ასევე სიჯადინის შეიხების ერთი ოჯახი და ფირე ხანის, ფირე გარგარის ფირების ოჯახიდან. ბათუმელი ეზიდების ნაწილი 1944 წელს სტალინის ბრძანებით ყირგიზეთში გადაასახლეს.[51] მოგვიანებით ისინი საქართველოში დააბრუნეს.

ეზიდები ასევე ცხოვრობდნენ და მათი ნაწილი დღესაც ცხოვრობს კახეთში. კერძოდ, თელავში, ყვარელის რაიონში, წნორში, სოფ. ხირსაში. აქ ძირითადად ცხოვრობენ სიპკის ტომის წარმომადგენლები, მანდკის ორი ოჯახი, რაშის ერთი ოჯახი. ასევე, ცხოვრობს ფირების რამდენიმე ოჯახი ფირე ხანის, ყადიბლბანის, ფირ ქამალისა და ფირე ბადის ოჯახებიდან.

თიანეთის რაიონის სოფ. ვეძათხევში ცხოვრობდა ფირ დრბესის გვარის ერთი ოჯახი. სოფ. ორხევში კი - დასნის ტომის ერთი ოჯახი და ფირ დრბესის ერთი ოჯახი.

ოზურგეთის რაიონში, სოფ. გურიანთასა და სოფ. ნასაკირალში დღესაც ცხოვრობს სიპკის, როჟკისა და მირანგის რამდენიმე ოჯახი.

სხვადასხვა გადმოცემის თანახმად, გარდაბანში მრავალი მუსლიმანი ქურთის ოჯახი ცხოვრობდა, სადაც ქურთული სოფლებიც კი არსებობდა. მაგალითად, სოფელი „ქურთლარი“. ხანგრძლივი პერიოდის განმავლობაში გარდაბნის ქურთები ადგილობრივ აზერბაიჯანულ მოსახლეობას შეერწყა და მათი

1919.

51 1944 წელს საქართველოდან მუსლიმანი ქურთებიც გაასახლეს, როდესაც თურქეთის მოსაზღვრე რაიონებში მცხოვრები მუსლიმანი მოსახლეობა საბჭოთა ხელისუფლებამ „არასანდო“ მოსახლეობის კატეგორიაში შეიყვანა და ისინი ცენტრალურ აზიაში გადაასახლა. საქართველოში ამჟამად ძირითადად ეზიდური რელიგიის მიმდევარი ქურთები ცხოვრობენ, თუმცა, მუსლიმანი ქურთების საქართველოში გამოჩენა ჯერ კიდევ XVI საუკუნეში მესხეთში დაფიქსირდა. XIX საუკუნის 80-იან წლებში თბილისის გუბერნიაში 3 ათასამდე მუსლიმანი ქურთი ცხოვრობდა, ათასამდე მუსლიმანი ქურთი ცხოვრობდა აჭარის ტერიტორიაზეც.

სრული ასიმილაცია მოხდა.

საბჭოთა პერიოდში საქართველოში მცხოვრები ქურთების რაოდენობის შესახებ პირველი ცნობები 1926 წლიდან მოიპოვება, როდესაც ჩატარდა მოსახლეობის საერთო საკავშირო აღწერა. ამ მონაცემებით საქართველოში სულ 10 217 ქურთი ცხოვრობდა. მათ შორის თბილისში – 2 502 კაცი. ახალციხის მაზრაში – 3 094, მათ შორის სოფლებში: ასპინძაში - 437, აწყურში - 175, ვალეში - 76, ვარხანში - 47, ტოლოშში - 448, ურაველში – 1 656, შალოშეთში – 138. ბორჩალოს მაზრაში – 99, მათ შორის ლუქსემბურგში - 61, სადახლოში, ქვეშში და სხვ. – 38. ახალქალაქის მაზრაში – 930, მათ შორის სოფ. ოკამში - 251, ხერთვისში – 633. ბათუმის მაზრაში – 2 524, მათ შორის ბათუმში - 402, გონიოში - 572, კახაბერში – 1 340, ორთა ბათუმში – 210. ქობულეთის მაზრაში - 661, მათ შორის ქობულეთში - 144, ჩაქვში - 261. ასევე ხულოში - 40 და ქედაში - 11. 1926 წლის აღწერით ეზიდები და ქურთები ცალ-ცალკე აღწერეს. ეზიდების რაოდენობა 2 262 კაცს შეადგენდა, ქურთებისა კი, 7 955.[52] შემდგომი წლების აღწერებში, 2002 წლამდე, ეზიდები და ქურთები ერთად აღწერეს.

საქართველოში დასახლების შემდეგ საბჭოთა პერიოდში ქურთული მოსახლეობის რაოდენობა ყოველწლიურად მატულობდა: 1939 წელს 12.9 ათასი ქურთი ცხოვრობდა, რაც საქართველოს მთელი მოსახლეობის 0.4%-ს შეადგენდა. 1959 წელს - 16.2 (0.4%), 1970 წელს – 20.7 (0.5%), 1979 წელს – 25.7 (0.5%).[53] 1989 წელს საბჭოთა საქართველოში ჩატარებული ბოლო აღწერის მიხედვით, ქვეყანაში 33.3 (0.6%) ქურთი ცხოვრობდა.

52 Амоев К., „Курдские диаспоры за рубежом, проблемы и перспективы", *Perspective-XXI*, თბილისი, 2005, 10-17.

53 ვახტანგ ჯაოშვილი, *საქართველოს მოსახლეობა XVIII-XX საუკუნეებში (დემოგრაფიულ-გეოგრაფიული გამოკვლევა), საქართველოს მოსახლეობის ეროვნული შემადგენლობის დინამიკა 1959-1979 წლებში*, გამომცემლობა „მეცნიერება", თბილისი, 1984, 213.

1959 წლის აღწერით ქ. თბილისში 12.9 ათასი ქურთი ცხოვრობდა, რაც ქალაქის მოსახლეობის 1.9%-ს შეადგენდა. 1970 წელს კი, თბილისში ქურთების რაოდენობა 18.4 ათასამდე გაიზარდა, რაც ქალაქის მოსახლეობის 2.1%-ს შეადგენდა.[54] შემდგომ წლებში მათმა რაოდენობამ კიდევ უფრო მოიმატა. 1979 წელს შეადგინა 23.4 (2.2%), 1989 წელს 30.3 (2.4%).

1990-იან წლებში, საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ, საქართველოში შექმნილი რთული სოციალურ-ეკონომიკური ვითარებისა და პოლიტიკური არასტაბილურობის შედეგად ქურთების ემიგრაციის გამო, მათი რაოდენობა შემცირდა. დამოუკიდებელი საქართველოს ისტორიაში 2002 წელს ჩატარებული მოსახლეობის პირველი აღწერის მონაცემების მიხედვით, ქურთები და ეზიდები კვლავ ცალ-ცალკეა აღწერილი: ეზიდების რაოდენობა შეადგენდა 18.3 (0.4%-ს), ქურთებისა 2.5 (0.0%-ს).[55] ქურთები ძირითადად თბილისში (ქალაქის რამდენიმე უბანში: ისანი-სამგორი, გლდანი-ნაძალადევი, ლოტკინი, ისინი კომპაქტურად არიან დასახლებულნი), რუსთავსა და თელავში ცხოვრობენ. ისინი მცირე რაოდენობით არიან განსახლებულნი მცხეთის, გარდაბნის, ოზურგეთის რაიონებსა და აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში.

ქურთი მოსახლეობის ნაწილი სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის გასაუმჯობესებლად წავიდა ემიგრაციაში, ძირითადად რუსეთისა და უკრაინის სხვადასხვა ქალაქებსა და დასავლეთ ევროპის ქვეყნებში, სადაც ძლიერი ქურთული დიასპორებია. ფაქტობრივად ეს ადამიანები ემიგრაციის ქვეყნებში დარჩენაზე არიან ორიენტირებულნი.

---

54 პაატა გუგუშვილი, *საქართველოს სსრ მოსახლეობის აღწარმოების საკითხები*, გამომცემლობა „მეცნიერება", თბილისი, 1973, 167.

55 საქართველოს სტატისტიკის სახელმწიფო დეპარტამენტი, *საქართველოს მოსახლეობის 2002 წლის პირველი ეროვნული საყოველთაო აღწერის შედეგები*, ტომი I, თბილისი, 2003, 110.

მიგრაციის შედეგად ქურთების რაოდენობამ სომხეთშიც იკლო. სომხეთის ის რაიონები, სადაც ქურთული სოფლები იყო, ფაქტობრივად, დაცარიელებულია.[56] სამხრეთ კავკასიაში ქურთების მიგრაციას განაპირობებს როგორც ნაციონალიზმის საფრთხე, ისე რთული სოციალურ-ეკონომიკური პირობები,[57] სახელმწიფოს მხრიდან უყურადღებობა[58] და ინტეგრაციის არარსებობა.[59]

56 უკანასკნელი აღწერის შედეგების მიხედვით, სომხეთში ცალკეა გამოყოფილი ეზიდები 40 620, რაც მთელი მოსახლეობის 1.3%-ს შეადგენს, და ქურთები – 1 519 (0.1%): Mihran Toumajan, „Armenian Census Results", *Armenian News Network/Groong*, 27 February, 2004.

57 სომხეთსა და აზერბაიჯანში ქურთების დღევანდელი მდგომარეობის ზოგიერთი ასპექტის შესახებ იხ.: Zhanna Aleksanian, „Armenia: Yezidis Losing their Land", *IWPR CRS*, №140, 1 August 2002; Rauf Orujev, „Azerbaijan: Kurds Targeted Again", *IWPR CRS*, №174, 11 April, 2003.

58 მერი ნამორაძე, „ქურთები საქართველოზე უარს აცხადებენ", *ახალი თაობა*, №310, 10-16 ნოემბერი, 2002.

59 *Джафаров М.*, „Очередное бегство: в чем истинная причина?", *Новый Взгляд*, №7, 2003.

# ეზიდური რელიგია

საქართველოში მცხოვრები ქურთები ეზიდური რელიგიის მიმდევრები არიან. ეზიდიზმი (ქურთულად ეზდიატი) ტრადიციულ და ნაციონალურ რელიგიათა რიცხვს მიეკუთვნება. ითვლება, რომ ეზიდიზმის საბოლოო კანონიზაცია შეიხ ადი იბნ მუსაფირმა ახალი წელთაღრიცხვით XII საუკუნეში მოახდინა.

სხვადასხვა წყაროს თანახმად, მსოფლიოში მილიონამდე ეზიდი ცხოვრობს. მათი ძირითადი ნაწილი ისტორიულ სამშობლოში სამხრეთ ქურთისტანში (მდებარეობს ერაყის ჩრდილოეთში) დოჰუკის მიდამოებში, შეიხანის ოლქსა (ყაზა) და შანგალის მთიან რაიონებში ცხოვრობს. სამხრეთ-დასავლეთ ქურთისტანში (მდებარეობს სირიაში) ეზიდები კომპაქტურად ყამიშლისა და ჰასაქას მიდამოებში ცხოვრობენ, აგრეთვე მათი სოფლები აფრინის (ალეპო) ოლქშია მიმოფანტული. ჩრდილოეთ ქურთისტანში (მდებარეობს თურქეთში) ეზიდებით დასახლებული რაიონები დიარბაქრის, ბატმანის, მარდინის, სერტის, ვერანშაჰარის პროვინციებშია განლაგებული. თუმცა, დღეისთვის ეზიდთა დიდი სათვისტომოები უკრაინაში, რუსეთის ფედერაციასა და დასავლეთ ევროპის ქვეყნებშიც (ძირითადად გერმანიაში) არსებობს.

ქურთისტანის ტერიტორიაზე, ადრეული შუა საუკუნეებიდან მოყოლებული XIX საუკუნის ჩათვლით, დამოუკიდებელი (ძირითადად ნახევრად დამოუკიდებელი) ქურთული სამთავროები არსებობდა, რომლებიც დიდ გავლენას ახდენდნენ ახლო აღმოსავლეთში მიმდინარე ისტორიულ პროცესებზე. XIII XIV საუკუნეებში ზოგიერთ სამთავროში ძირითადად ეზიდები ცხოვრობდნენ.[60]

ცნობილია, რომ ქურთული ტომები X საუკუნემდე ებრძოდ-

60 Шараф-хан ибн Шамсаддин Бидлиси, *Шараф-наме, т. I,* (перевод Е.И. Васильевой), Москва, 1979.



ეზიდთა ტაძარი ლალიში

ნენ ისლამის გავრცელებას ქურთისტანში. თუმცა, ამ პროცესის შეჩერება სხვადასხვა მიზეზების გამო ვერ მოახერხეს და უკვე X საუკუნეში ქურთთა ნაწილმა ისლამი მიიღო.

ქურთი უფლისწულისა და მემატიანეს შარაფ ხან ბიდლისის (XVI საუკუნე) გადმოცემით, ჩრდილოეთ ქურთისტანის დიდგვაროვნები ბოჰტანის, ჰაქარის, ბაჰდინანის, დასნის და ა.შ. მმართველები ეზიდები იყვნენ. ომაელთა ხალიფების დროს ეზიდების და სხვა არამუსლიმანი მოსახლეობის დევნა გაცილებით ნაკლები იყო, ვიდრე აბასელთა ბაღდადის სახალიფოში. აბასელებმა მიზნად დაისახეს ძველი რელიგიის მიმდევარ ქურთთა გამუსლიმანება და სადამსჯელო ექსპედიციები მოაწყვეს. ამ დროისათვის ეზიდთა წინაპრები, რომლებიც დასნიებად



ეზიდთა ტაძარი ლალიში, ჰენრი ლეარდი (1849)

მოიხსენებიან, დამარცხდნენ. მათ დაკარგეს თავიანთი წმინდა ადგილები, რომლებსაც მუსლიმანები და ადგილობრივი ნესტორიანელები დაეპატრონენ.[61]

XII საუკუნეში ეზიდები გაერთიანდნენ შეიხ ადი იბნ მუსაფირის მეთაურობით, რომელიც უაღრესად განათლებული პიროვნება იყო და სირიაში ერთ-ერთ ცნობილ ღვთისმეტყველად ითვლებოდა.

ეზიდებმა შეიხ ადიში ღმერთის მოგზავნილი და მათი მხსნელი დაინახეს და მისი მიმდევრები გახდნენ. შეიხ ადიმ მოახერხა ეზიდთა წმინდა ადგილების, კერძოდ, უძველესი ტაძრის

61 Пирбари Д., *Езиды Сархада*, Тбилиси-Москва, 2008.

– ლალიშის დაბრუნება. მის გარშემო მრავალი მოსწავლე შეიკრიბა, რომლებიც თვლიდნენ, რომ შეიხ ადი ქვეყნად იმისთვის მოევლინა, რათა ისინი იხსნას და დაარიგოს. შეიხ ადი წმინდა ტრიადაში ტაუსი მალაქთან და სულთან ეზიდთან ერთად შედის. შეიხ ადი ეზიდური წმინდა ტექსტების თანახმად, განკაცებული ღმერთია.

შეიხ ადი 90 წლის ასაკში გარდაიცვალა და ლალიშშია დაკრძალული, სადაც ყოველ წელს მრავალი ეზიდი პილიგრიმი ჩადის. ცნობილია, რომ შეიხ ადი ასკეტურ ცხოვრებას ეწეოდა და იგი არ იყო დაოჯახებული. ზოგიერთი მკვლევარი თვლის, რომ შეიხ ადიმ ეზიდიზმში გარკვეული ცვლილებები შეიტანა და ამიტომაც მას ეზიდური რელიგიის რეფორმატორს უწოდებენ.

შეიხ ადის შემდეგ ეზიდთა დევნა ისევ განახლდა, რამაც ეზიდების რაოდენობის შემცირება გამოიწვია. მრავალი თავდასხმის შედეგად თანდათან შემცირდა მათი რაოდენობა. საყურადღებოა, რომ ეზიდებს არაბების, თურქებისა და სპარსელების გარდა, თავად ახლად გამუსლიმანებული ქურთებიც ავიწროებდნენ.

## ეზიდიზმის წარმომავლობა

ეზიდიზმის წარმომავლობისა და ჩამოყალიბების შესახებ მეცნიერებს შორის ჯერ კიდევ არ არსებობს ერთიანი აზრი. ზოგიერთი მეცნიერი სიტყვა ეზიდს და წარმოშობას ირანულ ქალაქ იეზდს უკავშირებს, ზოგი ძველ ირანულ სიტყვას იაზატას, ზოგი ომაელ ხალიფა იაზიდ იბნ მუავის სახელს და ა.შ.

ერთმნიშვნელოვანია ის, რომ ეს ერთ-ერთი ძველი აღმოსავლური რელიგიაა, რომლის ფესვები შუამდინარეთის უძველეს კულტებთანაა დაკავშირებული. ეზიდიზმი ერთბაშად

არ ჩამოყალიბებულა და მრავალი საუკუნის განმავლობაში, საკუთრივ ქურთულ სივრცეში უძველესი ხალხური წარმოდგენების საფუძველზე ვითარდებოდა და ყალიბდებოდა. როგორც ჩანს, თავდაპირველად ეზიდთა წინაპრები მზეში, მთვარესა და ვარსკვლავებში, აგრეთვე ოთხ ბუნებრივ სტიქიაში ხედავდნენ ღვთაებრივ ძალას. მათ წმინდად მიაჩნდათ - ცეცხლი, წყალი, მიწა და ჰაერი.

მრავალი საუკუნის განმავლობაში ეზიდიზმი ვითარდებოდა და საბოლოოდ მონოთეისტურ რელიგიად ჩამოყალიბდა. ეზიდები მიიჩნევენ, რომ მხოლოდ ერთი ღმერთი არსებობს, რომელმაც შექმნა სამყარო და მის გარეშე არაფერი ხდება ქვეყნად. ღმერთი ხუდე ან იაზდანი (ეზიდი) არის ყველგან და ის ყველაფერშია, ის არის სიყვარული და სინათლე. რომელიც სხვადასხვანაირად ევლინება ადამიანებს. მაგალითად, მზის სითბოსა და სხივებში ეზიდები ღვთის სინათლეს ხედავენ და ამიტომ ლოცვისას მზის მიმართულებით იყურებიან.

ეზიდები ღმერთს და მის ანგელოზებს ეთაყვანებიან და თვლიან, რომ ანგელოზები ღვთის ნებას გადასცემენ მათ. ანგელოზებს სათავეში უდგას ტაუსი მალაქი, რომელიც ღმერთის ნებით მართავს სამყაროს. ეზიდიზმში ანგელოზთა სიმბოლოდ ფარშევანგი ითვლება, რომლის სპილენძის გამოსახულება ეზიდთა რელიგიურ სიმბოლოდ ითვლება.

მკვლევართა უმრავლესობა ეზიდიზმსა და ზოროასტრიზმში ბევრ საერთოს ხედავს. თუმცა, უნდა ითქვას, რომ ამ ორ რელიგიას შორის ფუნდამენტური განსხვავება არსებობს. საქმე იმაშია, რომ ეზიდიზმი ძველ არიული და მესოპოტამიური წარმოდგენების ბაზაზე შეიქმნა. ეზიდიზმის თანახმად, ღმერთი ერთია და ის ყოვლისშემძლეა. კეთილი და ბოროტი, ბნელი და ნათელი, დღე და ღამე და ა.შ. მისი ნებით არსებობს. ეზიდები თვლიან, რომ ყველაფერი ღმერთის ნებით ხდება. არ შეიძლება ბოროტების ღმერთი ან ღვთაება არსებობდეს, რომელიც ღმერთს აღუდგება.



ანგელოზთა სიმბოლო ფარშევანგი (სანჯაყი-თაუსი)

მაგრამ ღმერთმა ეს სამყარო მრავალფეროვანი შექმნა, რათა ადამიანს შეეძლოს კარგისა და ცუდის ერთმანეთისგან გარჩევა. ეს უძველესი წარმოდგენები მითრაიზმში, ზურვანიზმსა და შემდეგ ეზიდიზმში გადაიზარდა, რაც ეწინააღმდეგება ზოროასტრიზმს. ზარატუშტრა (ზოროასტრი) ქადაგებდა, რომ არსებობს ნათელი ღვთაება აჰურა მაზდა და ბნელი ღვთაება - ანჰრო მანიუ, რომლებიც ერთმანეთს ებრძვიან. ცნობილია, რომ ზოროასტრი წინაპართა ძველ რელიგიას დაუპირისპირდა და ირანის სამხრეთით გადაიხვეწა. აქედან გამომდინარე, ეზიდიზმსა და ზოროასტრიზმს აქვთ საერთო და საწინააღმდეგო.

როცა ქურთისტანის ტერიტორია არაბთა სახალიფოს საზღვრებში მოექცა, ეზიდები იძულებული გახდნენ ახალ რეალობას მორგებოდნენ. ამ მისიის შესრულება შეიხ ადი იბნ მუსაფირმა შეძლო.

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, XII საუკუნეში შეიხ ადიმ გააერთიანა ეზიდები, ხოლო მისმა მიმდევრებმა ეზიდური საზოგადოების რეფორმირება მოახდინეს და ისეთი სისტემა შექმნეს, რომელიც სხვადასხვა რაიონში დასახლებულ ეზიდებს ერთმანეთთან დააკავშირებდა.

### წმინდა ტექსტები

ეზიდთა რელიგია ეფუძნება წმინდა რელიგიურ ტექსტებს ყავლებს (სიტყვა), ანუ ღვთაებრივ მეცნიერებას. ეზიდთა მსოფლმხედველობა, კოსმოგონია, მცნებები, ზნეობრივი კოდექსი, ისტორია და სხვა ამ ტექსტების მეშვეობითაა წარმოდგენილი. ეს ტექსტები მომდევნო თაობას ძირითადად ზეპირად გადაეცემოდა მცოდნე-ოსტატებისაგან (ჰოსტა). თუმცა, ირკვევა რომ ისინი წერილობითი სახითაც არსებობდნენ. ეზიდებზე ხანგრძლივი

თავდასხმების შემდეგ, ხელნაწერები განადგურდა და ზეპირად გადაცემა ტრადიციად იქცა. ამ ტექსტებს არაერთი წმინდანი ავტორი ჰყავს. მაგალითად, დარვეშ ყათანი, შეიხ ფახრი, ფირ რაშე ჰაირანი, პესე ჯამი, ჰასად თაური და სხვ. ესენი ძირითადად შეიხ ადის მოსწავლეები არიან, რომლებმაც მდიდარი პოეტური ხასიათის რელიგიური ლიტერატურა შექმნეს, რომელშიც შეიხ ადისა და სხვა წმინდანთა ცხოვრებაა აღწერილი. მათ, აგრეთვე, რედაქტირება გაუკეთეს უძველეს ტექსტებს და ხალხისთვის გასაგები გახადეს. ეზიდური ტექსტები ძირითადად კურმანჯის დიალექტზეა შექმნილი.

ეზიდთა წმინდა ტექსტები უძველეს ინფორმაციას გვაწვდის ქურთი ხალხისა და, საერთოდ, ძველი მესოპოტამიის მოსახლეობის რელიგიურ წარმოდგენებზე.

გარდა ყავლებისა, არსებობდა ორი ცნობილი წიგნი – „მასჰაფა რაშ“ და „ქეთება ჯელვა“ („შავი წიგნი“ და „გამოცხადების წიგნი“), რომელთა დედნები დაკარგულია და ჩვენამდე მხოლოდ ფრაგმენტებია მოღწეული.[62] ეზიდთა სასულიერო პირები ფრაგმენტებს სანდოდ არ მიიჩნევენ და ამიტომ არც აღიარებენ. ცნობილია, რომ ეს წიგნები ეზიდური ანბანით ქურთულ ენაზე იყო შესრულებული. ამ ორი წიგნის გარდა, არსებობს არაბულ ენაზე დაწერილი გრაგნილები „მშურ“, რომლებშიც წმინდანთა ცხოვრება და მათი ხალხთან ურთიერთობაა აღწერილი. ეს ხელნაწერები ეკუთვნის ეზიდთა სასულიერო გვარების წარმომადგენლებს - ფირებს. ზემოთ ნახსენები გრაგნილები XIII საუკუნით თარიღდება.

მაშასადამე, ეზიდიზმის ძირითად წყაროს ყავლები წარმოადგენს, რომლებშიც აღნიშნულია, რომ ეზიდმა მხოლოდ სიკეთე უნდა თესოს თავისი მოკლე ცხოვრების მანძილზე. ეზიდიზმში, როგორც სხვა რელიგიებში, ძირითადი მცნებებია არა

62 Амоев К., *Езидские священные книги*, Тбилиси, 1999.

კაცკლა, არ იმრუშო, არ მოიტყუო და ა.შ.

„თუ ნახე ვინმე
და სიკეთე გააკეთე
ნუ კითხავ რა რჯულის ხარ

თუ გააკეთე სიკეთე
წყალს გაატანე იგი
და არ დაიკარგება ის ღმერთთან."

(ეზიდთა წმინდა ტექსტიდან)

ერთ-ერთი მცნება ის არის, რომ ეზიდმა ყველა გაჭირვებულ ადამიანს, რჯულისა და აღმსარებლობის მიუხედავად, დახმარების ხელი უნდა გაუწოდოს.

ეზიდებს სწამთ, რომ ყველა სხვა რელიგია ღმერთის ნებით არსებობს, მაგრამ ისინი მხოლოდ ჭეშმარიტი ცოდნის ცალკეული ნაწილებია. სრულყოფილი ცოდნა (ზანინა ხუდე, ან ილმე ხუდე) მხოლოდ ეზიდთა წმინდანებმა მიიღეს ღმერთისგან ყავლების სახით.

ეზიდები პატივისცემით ეპყრობიან სხვა რელიგიის მოციქულებს: აბრაამს, მოსეს, იესოს და ა.შ. თუმცა, მათი ცხოვრების შესახებ მათ თავიანთი ვერსიები აქვთ. ისინი თვლიან, რომ ეზიდთა ღმერთმა (ხუდე) ეს მოციქულები გაუგზავნა სხვადასხვა ხალხს, რათა ისინი ჭეშმარიტ გზაზე დაეყენებინა.

სამწუხაროდ, ეზიდთა საზოგადოების კარჩაკეტილობის გამო, მათი მრავალი წმინდა ტექსტი ფართო საზოგადოებისთვის ცნობილი არ იყო.



„ქეთება ჯელვას" სატიტულო გვერდი შესრულებული ეზიდური ანბანით

## კოსმოგონია[63] და ესქატოლოგია[64]

ეზიდთა წმინდა ტექსტებში საინტერესოდ არის აღწერილი სამყაროს შექმნა. მათი მოძღვრების თანახმად, ღმერთი არის შემოქმედი, რომელმაც შვიდ დღეში შექმნა სამყარო. თავისი ღვთაებრივი არსიდან ჯერ შექმნა მარგალიტი, რომელიც სამყაროს თესლს, ანუ დასაბამს წარმოადგენდა. შემდეგ ის თავად მოთავსდა მარგალიტში, რომელიც მისი დიდებული მზერისაგან გასკდა და უკიდეგანო ზღვად იქცა. იყო შექმნილი ზეცა, მნათობები და ა. შ. ასევე ყოველივე დღეს მან თავისი სინათლიდან შექმნა შვიდი ანგელოზი. შემდეგ უფალმა სამყაროს მმართველობა მათ ჩააბარა.

ღმერთმა (ხუდე) ანგელოზები გაგზავნა ზღვის ზედაპირზე და მისი ბრძანებით მათ ხმელეთი შექმნეს, რის შემდეგაც მათ ოთხი სტიქია (ჰაერი, მიწა, წყალი და ცეცხლი) ერთმანეთში შეაზავეს და პირველი ადამიანი (ადამი) გამოძერწეს. შემდეგ მისი ნეკნიდან მეგობარი არსება - ქალი შექმნეს. მიუხედავად იმისა, რომ ეზიდური ვერსია თორაში ნახსენებ ადამის და ევას სახელებს იმეორებს, ის მნიშვნელოვნად განსხვავდება იუდეური და ისლამურისაგან. როგორც ჩანს, ამ სახელებმა ძველი ეზიდური სახელები ჩაანაცვლა.

ეზიდური კოსმოგონიის თანახმად, ადამიანის გამრავლება თავიდანვე იყო გათვალისწინებული და ის არ უნდა ყოფილიყო ადამის და ევას ცოდვის ჩადენის შედეგი.

ადამი და ევა სამოთხეში, წალკოტში (ბეჰეშტ) ცხოვრობდნენ

63 რელიგიური სწავლება სამყაროს შექმნის შესახებ.

64 მისტიკური მოძღვრება მსოფლიოსა და ადამიანის საბოლოო ბედზე.

და მონელებულ საკვებს ოფლის სახით გამოჰყოფდნენ. ღმერთის დავალებით ანგელოზმა ადამსა და ევას ხორბალი აჭამა, რის შედაგადაც ისინი გასივდნენ. ამის შემდეგ კი გამრავლებისათვის საჭირო ორგანოები შეუქმნეს.

ადამი და ევა კამათობენ თუ რომელი მათგანია მთავარი და რომლისგან წარმოიშობა კაცობრიობა. ბოლოს ადამი იმორჩილებს ევას, რომელიც მას ორ ვაჟს გაუჩენს. კაენის მიერ აბელის მოკვლის შემდეგ ადამი და ევა ერთმანეთს ადანაშაულებენ მათი შვილების მიერ ჩადენილ ცოდვაში. მთავარანგელოზი (ტაუსი მალაქი) ადამსა და ევას დაარიგებს ორი დოქი გამოძერწონ, საკუთარ დოქში თავიანთი ნერწყვი მოათავსონ და მიწაში ჩაფლან. როცა ადამი თავის ნერწყვს დოქში ათავსებდა ტაუსი მალაქმა მასში ანგელოზთა თესლი გაურია. ცხრა თვის შემდეგ ადამმა და ევამ ანგელოზის დავალებით გახსნეს დოქები. ევას დოქში მატლები აღმოჩნდა, ხოლო ადამის დოქში - მამრობითი სქესის ემბრიონი, რომელსაც შეიდ ბენ ჯარს (შეიდი დოქის შვილი) დაარქვეს. მას მთავარანგელოზმა მოუყვანა სამოთხის ქალწული, რომელსაც ჰურიათი (ჰორი ბენთ ჰანა) უწოდეს და მათ შთამომავლობას ეზიდები წარმოადგენენ.

ეზიდებს სულის უკვდავებისა სწამთ და მიიჩნევენ, რომ ცოდვილი სული ჯოჯოხეთში (დოჯაჰ) მოხვდება, ხოლო უცოდველი - სამოთხეში (ბეჰეშტ). გარდა ამისა, მათ სჯერათ მეტემფსიქოზის[65] (თანასუხ) და თვლიან, რომ სული, რომელიც სამოთხის ან ჯოჯოხეთის ღირსი არ აღმოჩნდება, ამ ქვეყანას სხვა ფორმით მოევლინება.

ეზიდიზმში არსებობს ბიბლიისა და ყურანისათვის დამახასიათებელი მოტივები წარღვნის შესახებ. ეზიდებს სჯერათ მკვდრეთით აღდგომისა და მხსნელის მოვლინებისა, რომელსაც

65 რელიგიურ-მისტიკური მოძღვრება გარდაცვლილი ორგანიზმის სულის სხვა ორგანიზმში გადასახლების შესახებ.

შარფადინს უწოდებენ. მათი რწმენით ქვეყანაზე ჯერ არეულობა, მკვლელობები და სტიქიური უბედურებები დაისადგურებს, შემდეგ აღმოსავლეთიდან ტირანი მოვა და, როცა დასავლეთიდან მზე ამოვა, შარფადინი გაანადგურებს მას, ასევე გაანადგურებს ყველა საკულტო ნაგებობას და ხალხი მხოლოდ ერთ ღმერთს იწამებს.

## ლოცვა, მარხვა და დღესასწაულები

ეზიდიზმში სხვა მრავალი რელიგიის მსგავსად, არსებობს ორი სახის ვალდებულება - ფარზე თარიყატე და ფარზე ჰაყიყატე.

ფარზე თარიყატე (Ferzê terîqetê) მრავალ ვალდებულებას მოიცავს: ლოცვას (დუა), მარხვას (როჟი), სიცოცხლეში ერთხელ მაინც ჩასვლას ლალიშში (ზიარატ ან ჰაჯი), წინდაცვეთას (სუნატ), ორი სახის ნათლობას (ბისკ) და ლალიშში წმინდა წყაროს წყლით (მორკერენ) სხურებას, შეწირვას (ხერატ, ფეტუ, რესმ, ზაქათ), შესაწირ საკლავს (სარბერ, ყურბან, ხერ), აკრძალული საკვების მიღებას (ღორის ხორცი, კომბოსტო, სალათი) და ა.შ.

ეზიდიზმში მხოლოდ მშრალი მარხვა არსებობს, რაც იმას გულისხმობს, რომ ადამიანმა დღისით არ უნდა ჭამოს. ყოველი ეზიდი ვალდებულია დეკემბრის პირველ პარასკევამდე (აღმოსავლური კალენდრით) სამი დღე დაიცვას მარხვა, ხოლო მეოთხე დღეს (პარასკევს) აღნიშნოს დღესასწაული, რომელსაც აიდა ეზიდ ეწოდება და დაკავშირებულია მზის კულტთან.

არსებობს აგრეთვე სამდღიანი მარხვა თებერვლის მეორე ნახევარში, რომელიც ორ წმინდანს - ხიდირ ნაბის და ხიდირ აილასს ეძღვნება. ამ მარხვის დაცვა აუცილებელია მათთვის ვისაც ხიდირი ან აილასი ჰქვია.

აღნიშნული მარხვის გარდა, უმაღლესი სასულიერო პირები და ის ეზიდები, რომლებიც ასკეტურ ცხოვრებას მისდევენ, წელიწადში ორჯერ (ზამთარსა და ზაფხულში) ორმოცდღიან მარხვას იცავენ (ჩლე ზევესტანე და ჩელე ჰავინე), რაც ასევე ასტრალურ კულტებს უკავშირდება.

უმთავრესი დღესასწაულია ახალი წელი - ჩარშამა სორ (ოთხშაბათის დღესასწაული) ან სარსალ (ახალი წელი), რომელიც აღმოსავლური კალენდრით აპრილის პირველ ოთხშაბათს აღინიშნება. ეზიდები ამ დღეს კვერცხებს სხვადასხვაფრად ღებავენ და ნაჭუჭებს მინდორში ფანტავენ, აცხობენ ქადებს, სახლის შესასვლელ კარებს გარედან მინდვრის წითელი ყვავილებით რთავენ. ამ დღეს ქალები საფლავზეც გადიან. ეზიდები ახალი წლის ღამეს ლალიშის ტაძარში ხვდებიან, დაბნელებისთანავე სასულიერო პირები ღვთაებრივ ცეცხლს ტაძრიდან გამოიტანენ და ეზიდები ზეთით გაჟღენთილ ფითილებს ცეცხლს უკიდებენ. აღსანიშნავია, რომ აპრილის თვე წმინდად ითვლება, რის გამოც დაქორწინება იკრძალება.

6-13 ოქტომბერს პილიგრიმობის დღეებია. სხვადასხვა ქვეყნიდან ეზიდები ლალიშში ჩადიან, სადაც რელიგიური რიტუალები იმართება.

სომხეთსა და საქართველოში მცხოვრებ ეზიდებს, რომლებსაც სარჰადის ეზიდებად იცნობენ, სხვა ეზიდებისაგან განსხვავებული დღესასწაულებიც აქვთ. ესენია კლოჩა სარე სალე და როჟა მაზალა.

კლოჩა სარე სალე - ახალი წლის ჰასკა მარტის თვის პირველ ხუთშაბათს აღინიშნება. უნდა ითქვას, რომ ეზიდური რელიგიური კალენდრის მიხედვით, ახალი წელი აპრილის (ნისანის თვის) პირველ ოთხშაბათს უნდა ემთხვეოდეს, თუმცა, სარჰადის ეზიდებთან ამ დღემ მარტში გადმოიწია.

კლოჩის დღესასწაულზე ეზიდები ერთ დიდ ნამცხვარს (კლოჩ) და ბევრ პატარა ქადას აცხობენ. კლოჩისთვის მოზელილ

ცომში დიასახლისი მძივს ათავსებს და ფურნეში დებს. მეორე დღეს დილით ოჯახის წევრები ნამცხვრის გარშემო იკრიბებიან და ოჯახის უფროსი ღვთის ხსენების შემდეგ ნამცხვარს ორად ყოფს. რიტუალს ხატა ჯოტს (გუთნის კვალს) უწოდებენ. შემდეგ ერთ მხარეს ანგელოზებისა და წმინდანების სახელზე შვიდ ნაჭრად ჭრის. მაგალითად: ჰაფტ მერე დივანე (შვიდი ანგელოზი), ხუდანე მალე (ოჯახის მფარველი), მემე შვან (მწყემსი მამე, ცხვრების და თხების მფარველი), გავანე ზარზა (მწყემსი ზარზა – მსხვილფეხა რქოსანი საქონლის მფარველი), ხატუნა ფახრა (ქალებისა და ბავშვების მფარველი) და ა.შ.

ნამცხვრის მეორე ნაწილი ოჯახის წევრების სახელზე იჭრება. ითვლება, რომ ვისაც მძივი შეხვდება მასზე იქნება დამოკიდებული მომავალი წელი.

როჟა მაზალა მიცვალებულთა სულების მოხსენიების დღეა და ამ დღეს ეზიდები სასაფლაოზე გადიან. იულიანური კალენდრის მიხედვით, ეს დღე ივნისის პირველ ხუთშაბათს ემთხვევა.

ფარზე ჰაყიყატე (Ferzê heqîqetê) ხუთ ვალდებულებას შეიცავს და გულისხმობს ეზიდისთვის ხუთი მოძღვრის ყოლას: შეიხი (ოჯახის შეიხი, რომელიც ნათლობის რიტუალს ასრულებს, რაც ერთ წლამდე ასაკის მამრობითი სქესის ბავშვის სიმბოლურ თმის შეჭრას გულისხმობს), ფირი (ოჯახისთვის მლოცველი და მკურთხეველი), ჰოსტა (ოსტატი, რომელიც წმინდა ტექსტებს ასწავლის ეზიდს), მარაბი (მოძღვარი-დამრიგებელი), ბრე/ხუშკა ახრატე (სულიერი, ანუ იმქვეყნიერი ძმა ან და). ხუთივე უნდა იყოს სასულიერო კასტის (შეიხი და ფირი) წარმომადგენელი. ყველა ეზიდური გვარისათვის ოჯახის შეიხი და ფირი შთამომავლობით გადადის.

### რელიგიური აკრძალვები

რელიგიური სიმბოლოებიდან უპირველესია შაჰადა დინ (მოწმობა ეზიდობის შესახებ) რაც წმინდა ტექსტის წაკითხვაში გამოიხატება. მასში განსაზღვრულია ეზიდთა სარწმუნოების ძირითადი არსი.

მამაკაც ეზიდს აუცილებლად უნდა ჰქონდეს ულვაში, უნდა ეცვას თეთრი პერანგი (კრას), რომლის საყელო მრგვალად უნდა იყოს ამოჭრილი. საყელოს უნდა ჰქონდეს თეთრი კანტი (თოკ, გრივან), რაც ღვთისადმი მორჩილების სიმბოლოა.

ეზიდებს ეკრძალება ლურჯი ფერის (შინ) ტანისამოსის ტარება, ვინაიდან ის ზეციური ფერია და შუა საუკუნეებში ახლო აღმოსავლეთში სამგლოვიარო ფერად ითვლებოდა.

მზე, მთვარე, ფარშევანგი, გველი და სხვა სიმბოლოები ეზიდებისათვის წმინდად მიიჩნევა.

ეზიდიზმში გარდა აღნიშნულისა, არსებობს სამი ბურჯი „სე ჰარფ" - სამი მცნება: შარიათ, თარიყათ, დარბა ხარყა. ერთ-ერთი მათგანის დარღვევის შემთხვევაში ეზიდი კარგავს ეზიდობას.

შარიათ ან როგორც უწოდებენ დიზა დანე (ჟურჟელი საღებავით).[66] ეზიდური რელიგიის თანახმად, ეზიდი შეიძლება გახდე არა რწმენით, არამედ მხოლოდ ეზიდი მშობლებისაგან. ეზიდმა არ უნდა იქორწინოს სხვა რჯულის ადამიანზე. ეზიდი რომ იყო აუცილებელია ეზიდი მამისა და ეზიდი დედისგან დაიბადო.

თარიყათ ანუ შარბკე ზერინ (ოქროს თასი), კასტებს შორის ქორწინების აკრძალვას გულისხმობს. ამ აკრძალვის დარღვევა ძმის დასთან ქორწინებას უტოლდება. ამგვარი ქორწინებით დაბადებული შთამომავლობა არ შეიძლება ეზიდებად ჩაითვალოს.

66 იგულისხმება ლურჯი ფერი, რომელიც არაეზიდის მანიშნებელია.

დარბა ხარყა (ჯვალოსთვის დარტყმის მიყენება) ნიშნავს სასულიერო პირების შეურაცხყოფას. სასულიერო პირის (განსაკუთრებით ფაყირების) შეურაცხყოფა გამოიწვევს წინაპართა რწმენიდან განკვეთას და შედეგად თემიდან გაძევებას.[67]

ზემოაღნიშნულიდან ერთ-ერთის დარღვევა საშინელ ცოდვად ითვლება და რელიგიიდან განდევნას ნიშნავს. დღეს ყოფილი საბჭოთა კავშირის ეზიდებში აღინიშნება მრავალი დარღვევა, რაც სხვა მოსახლეობასთან მათ ასიმილაციას უწყობს ხელს.[68]

## ეზიდური საზოგადოების სტრუქტურა

ეზიდური საზოგადოება კასტურ-თეოკრატიული დანაწევრების პრინციპზეა დაფუძნებული. მიჩნეულია, რომ კასტური სისტემის არსებობა მიეწერება შეიხ ადის (XII საუკუნე) რეფორმებს, მაგრამ რეალურად ეზიდების თანამედროვე კასტურმა სტრუქტურამ განვითარების ხანგრძლივი გზა გაიარა და მხოლოდ მაშინ დაასრულა ფორმირება, როდესაც ყველა ეზიდურმა გვარმა სასულიერო პირი – შეიხი[69] და ფირი აირჩია.[70]

ეზიდები იყოფიან სამ შტოდ („კასტად“): შეიხები (Şêx), ფირები (Pîr) და მურიდები (Mirîd).[71] ინდოეთისგან განსხვავებით

---

67 ასევე იხ.: Анкоси К., *Фарзе братийе у Езидов*, Тбилиси, 1996.

68 Пирбари Д., *Езиды Сархадо*, Тбилиси-Москва, 2008.

69 შეიხი (არაბულად - მოხუცი, უხუცესი) - სიტყვა ფირის სინონიმია, მაგრამ ეზიდებში მეთაურის, ხელმძღვანელის ფუნქცია შეიძინა.

70 ფირი (ქურთულად, ირანულად - მოხუცი, უხუცესი) ეზიდურ თეოლოგიაში ფართო მნიშვნელობა შეიძინა – სული, ოსტატი, წმინდანი, მფარველი, ყოველდღიურ ყოფაში – მღვდელმსახური.

71 მურიდი (არაბულად - მსურველი; გადატანითი მნიშვნელობით მოსწავლე) ახლო აღმოსავლეთის ქვეყნებში არის ადამიანი, რომელსაც სურს თავისი ცხოვრება რწმენას მიუძღვნას, დაეუფლოს მისტიკური სწავლების საფუძვლებს.

ეზიდური „კასტები" რელიგიის წინაშე თანასწორი არიან. აქ არ არსებობს სოციალურ-ეკონომიკური პრინციპი და მხოლოდ სასულიერო კავშირებზეა აგებული.

შეიხები და ფირები სასულიერო ფენას განეკუთვნებიან, ხოლო მურიდების ძირითადი მასა - ერისკაცებს. ერთი კასტიდან მეორეში გადასვლა შეუძლებელია. მურიდებისათვის, რომლებიც ღრმა რელიგიურ ცხოვრებას ეწევიან, არის სხვადასხვა რელიგიური წოდება: ხლმატქარ, ყავლბეჟ, ქოჩაკ, ფაყირ, ყავალ და ა.შ.

ეზიდური რელიგიის თანახმად, ყოველი ეზიდი თავისი შეიხისა და ფირის მურიდია, ანუ მათი მიმდევარია. ეს, აგრეთვე, შეიხებსა და ფირებზეც ვრცელდება, რაც გულისხმობს იმას, რომ ისინიც თავიანთი შეიხისა და ფირის მურიდები არიან. უბრალო მურიდებისაგან განსხვავებით, მათ კიდევ თავიანთი მურიდები ჰყავთ. რელიგიის თანახმად, ამ სამი შტოს წარმომადგენელთა შორის ქორწინება იკრძალება, ვინაიდან მათ მხოლოდ სულიერი კავშირი აქვთ ერთმანეთთან. მათ შორის ქორწინება დისა და ძმის ერთმანეთზე ქორწინების ტოლფასია (შეიძლება შევადაროთ ნათელ-მირონობით დაკავშირებულ ადამიანებს შორის ქორწინების აკრძალვას ქრისტიანობაში).

შეიხებსა და ფირებს მურიდები მემკვიდრეობით გადაეცემათ. ისინი შეიხთა და ფირთა გარკვეულ გვარს მიეკუთვნებიან. სულიერი ძმის (ბრე ახრატე) არჩევა ეზიდს საკუთარი შეხედულებით შეუძლია. თუმცა, საქართველოსა და სომხეთში ამანაც მემკვიდრეობითი ხასიათი შეიძინა.

იმ შემთხვევაში თუკი ფირების ან შეიხების გვარი შეწყდებოდა, მღვდელმსახურის გარეშე რომ არ დარჩენილიყვნენ, მურიდები შეიხებისა და ფირების ახალ გვარს ირჩევდნენ. მურიდების განაწილება ძირითადად ტომებისა და გვარების მიხედვით ხდებოდა. ამიტომ ეზიდების ტომების მიხედვით განაწილება არ ემთხვევა მურიდების განაწილებას შეიხებისა და ფირების გვა-

რების მიხედვით: განსხვავებულ ტომებში შეიძლება იყოს ერთი და იგივე შეიხებისა და ფირების გვარები, ერთი და იგივე ტომის ეზიდები კი შეიძლება სხვადასხვა შეიხისა და ფირის გვარების მურიდები იყვნენ.[72]

ეზიდიზმში არსებობს ტექსტი „შაჰადა დინ" და ყოველი ეზიდი ვალდებულია ზეპირად იცოდეს იგი. ძილის წინ ეზიდები კითხულობენ მას და მასში ყველა ასახელებს თავისი შეიხის, ფირისა და მარაბის გვარს და სულიერი ძმის სახელს. ეზიდი, რომელიც ვერ ასახელებს თუ რომელი შეიხისა და ფირის გვარის მურიდს განეკუთვნება, არ შეიძლება ეზიდად ჩაითვალოს.

შეიხები და ფირები უნდა ზრუნავდნენ საკუთარი მურიდების რწმენის სიწმინდეზე, თვალყურს უნდა ადევნებდნენ მათ მიერ რელიგიური ვალდებულებების შესრულებას, ჭეშმარიტ გზაზე დაყენებას, სხვადასხვა წეს-ჩვეულების (წინადაცვეთა, ქორწინება, დაკრძალვა) შესრულებას, სავალდებულოა რიტუალს ესწრებოდეს „საკუთარი" შეიხი და ფირი, რომელთა მოვალეობას ძირითადად ლოცვების კითხვა შეადგენს. ზოგიერთი მოთხოვნა აუცილებლად შეიხის მიერ სრულდება, ზოგიერთი ფირის მიერ, თუმცა, უმრავლესობა შეიძლება ორივემ შეასრულოს.[73]

ფირები და შეიხები საკუთარი მურიდებიდან შემოწირულობებს აგროვებენ, რასაც ქურთულად ეწოდება „რისმ", „ფუტუ", „ხერ". შემოწირულობის ოდენობა ზუსტად არ არის განსაზღვრული და დამოკიდებულია მურიდის გულუხვობასა და ეკონომიკურ მდგომარეობაზე.

შეიხებისა და ფირების ყველა გვარი, გარდა იმისა, რომ მათ ჰყავთ მათზე მიწერილი მურიდები, მთლიანად ეზიდების მღვდელმსახურები არიან. მათ შეუძლიათ მიმართონ რჩევით

72 Вильчевский О. Л., *Очерки по истории езидства*, «Атеист», №51, Москва, 1930, 105.

73 იგივე.

ეზდიხა

## შეხანი (შეიხები)

### ადანი

- შეხსინ (შეიხი ჰასან)
- შეიხ ბრაიმ საცმი
- შარფადინ
- შეხ ზაიდინ
- შეხ მუსე სორ
- შეხ ეტიმ
- სტი ტაუს
- სტი ნაფის

### ყათანი

- შეხუბაქრ
  - სორესორა
  - კარ უ ლალა
  - მავიე ზარ
- შეს სმაილე ანზალი
- შეხ აბდულყადრე რაჰმანი
- შეხ მუჰამად ბაცნი (ხალიფაცა)

### შამსანი

#### შამსადინ (შეხ შამს)*

- შეხ ხდრ
- შეხ ბაბკ
- შეხ ტოკლ
- ამადინ
- ბაბადინ
- შეს ჰაენდ
- შეს ალ
- შეხ ჰასნ
- შეს ავდალი ბისკ (გული)
- სტი ბლხან
- სტი ეს
- სტი ნსრაც

#### ფახრადინ

- შეხ მანდ
- ბადრ
- ხაცუნა ფახრა
- აყუბ

#### საჯადინ

#### ნასრდინ

*ჯინ ტაიარ, დარა მრაზა, თოხა ანზალ მხოლოდ სარპადის ეზიდებში

## მრიდხანა (მრიდები)

### მრავალი ტომი

## ფირანი (ფირები)

ჰასნმამან (ფირე ჩელ ფირი)
ჰაჯი მეჰამად
ფირ ჯარვან
მაჰმარაშან (მაჰმად რაშან)
ფირ აიუბ
ფირ აფატ
ფირ მეჰამად
მამ შვან
აბდურაჰმან
ომარხალა
ჰასანჩინარი
ფირ სინი ბაჰრი (ფირ ბარი)
ჰაჯიალი
ფირ ბუბ
ფირ ალი
ფირ სადიყ
ფირ ფადლ
ფირ მანდ
ფირ ბუვალ სედარი
ფირ რაშე ჰაირან
მაჰმადე რაბან
ჰასნალკა
დაუდი ბენ დარმან
ისებია (ისე ბიან)
ფირ ხანი
ფირ დაუდ
ფირ შარაფე მერავი
ჰასან ჰირკ
ფირ მარვან
ფირ დრბეს
ფირ ჰასანტალკ
ფირ მაჰმუდ
ფირ ბაიბუნ
ფირ დალი
ალუბაქრ
ყარაჩარი
ხოშავა
ჰაჯი ალი
ფირ მუს
ფირ ცუს
ფირ მაჯრუჰ
ფირ ყამარ
ფირ ლბნან
ფირ ჰალან
სინახალი
მარყაბეს (ამარ ყაბის)
ყადიბლბან (ყადიბ ბლბან)
ფირ ყამალ
ფირ გარგარ
ფირ ქარქურ
ფირ ბუტარ
ფირ ხაციჰსი (ხაციბ ბასი)
ფირ ჰამადე ბოზ
ფირ ჭელე
ფირ ბად
ფირ დავა

და დახმარებით რომელიმე ავადმყოფობის განსაკურნებლად. მაგალითად, ამადინის შეიხებს მუცელში ტკივილების დროს მიმართავენ, ჯინ ტაიარის შეიხები ბნედას კურნავენ, ჰასანტალკის ფირები - ანგინას და ა.შ..

ზემოაღნიშნული რელიგიური საქმიანობის შესრულებიდან თავისუფალ დროს, ეზიდური სასულიერო პირები ერისკაცებთან ერთად ცხოვრობენ და არავითარი უპირატესობით არ სარგებლობენ.[74]

სამი კასტის გარდა, არსებობს კიდევ სუბკასტები. შეიხები სამ შტოდ იყოფიან: ადანი, ყათანი და შამსანი, რომლებიც თავის მხრივ მრავალ გვარად იყოფიან. ქორწინება ამ სამი შტოს წარმომადგენელთა შორისაც იკრძალება.

ფირები მრავალ ათეულ გვარებად იყოფიან: ფირ ჰასნმამანი, ფირ მაჰმარაშანი, ფირ ისებია, ფირ ბარი, ფირ მამშვანი, ფირ ომარხალი, ფირ ხანი და ა.შ. ფირების ზოგიერთ გვარებს შორის ქორწინება არ არის ნებადართული, ვინაიდან ზოგიერთებს მხოლოდ სულიერი კავშირი აქვთ ერთმანეთთან.

აღსანიშნავია, რომ მხოლოდ სასულიერო კასტის წარმომადგენლის ოჯახში დაბადება არ არის საკმარისი სასულიერო პირი რომ გახდე. ამისათვის საჭიროა ღრმა რელიგიური ცოდნა, რაც უნდა მიიღო ჰოსტასგან, ოსტატისგან, რომელიც ეზიდს წმინდა ტექსტებს ასწავლის.

ეზიდთა ძირითადი ნაწილი მურიდებია და ისინი მრავალ ტომად და გვარად იყოფიან. მურიდებს მიეკუთვნებიან ასევე ყავალები, ფაყირებისა და ქოჩაკების მნიშვნელოვანი ნაწილი. ყავალები ეზიდური რელიგიის მქადაგებლები არიან, რომლებსაც წელიწადში ერთხელ ეზიდური სოფლების შემოვლა და მათთვის წმინდა ტექსტების ახსნა ევალებათ.

ფაყირები ნახევრად ასკეტურ ცხოვრებას ეწევიან და მის-

74 Вильчевский О. Л., *Очерки по истории езидства*, „Атеист", №51, Москва, 1930, 105.

ტიკოსებს განეკუთვნებიან. ფაყირი მურიდების გარდა, შეიძლება ზოგიერთი შეიხი და ფირიც იყოს.

ქოჩაკები მორწმუნე ეზიდები არიან და ითვლება, რომ ისინი ეზიდებს ანგელოზთა და წმინდანთა ნებას გადასცემენ წმინდა ტექსტების საშუალებით.

**ეზიდთა სასულიერო კრება და რელიგიური თანამდებობები**

ეზიდებს მართავს ეზიდთა სასულიერო კრება. სასულიერო კრება იმართება შეიხანში (ერაყის ქურთისტანი). შეიხანი და ბაადრი ეზიდთა სამთავროს ადმინისტრაციული ცენტრები იყო. ჯერ კიდევ XX საუკუნის დასაწყისში. ოსმალეთის სულთანი ეზიდთა ამირას (მირს) მსოფლიოს ეზიდთა მეთაურად აღიარებდა. ერაყის სახელმწიფოს შექმნის შემდეგ ეზიდების ამირა აღიარებას ერაყის ხელისუფლებისაგან იღებდა.

ეზიდებს სათავეში მირი (Mîr) (ამირა) უდგას. მას ასევე უწოდებენ მირე შეხანს (შეიხანის მმართველს). დღევანდელმა დინასტიამ ძალაუფლება XIII-XIV საუკუნეებში აიღო, როდესაც ბრძოლა მიმდინარეობდა ადანისა და შამსანის შეიხთა გვარის წარმომადგენლებს შორის. ვინაიდან ეზიდები რელიგიურ საზოგადოებას წარმოადგენენ, ამირა როგორც რელიგიური, ასევე საერო მეთაურია. მას ეზიდთა და მათი წმინდა ადგილების დაცვა ევალება. ამირას მრავალი სხვა მოვალეობაც აქვს: ადმინისტრაციული მმართველობა, ტომებს შორის უთანხმოების მოგვარება, ფინანსური საკითხების წარმართვა. ამირა ამტკიცებს ეზიდთა სულიერ მამას – ახტიარე მარგეჰეს. თავის მხრივ, ახტიარე მარგეჰე ამირად ლოცავს ახლად არჩეულ მემკვიდრე პრინცს. ეზიდების ამირების რეზიდენცია მდებარეობს ჩრდილოეთ ერაყში, ბაადრში, შეიხანის რაიონის დიდ დასახლებაში.

ამირები ქორწინებაში შედიან მირების, ფსმირების გვარებისა და მათი მონათესავე ყათანის შეიხების წარმომადგენლებთან. ტიტულისა და მაღალი წარმომავლობის მიუხედავად, ამირები, თავის მხრივ, „საკუთარი“ შეიხისა და ფირის მურიდია. რელიგიური წესები მათზე ისევე ვრცელდება, როგორც სხვა ეზიდებზე.

ეზიდთა სულიერი მამა არის *ახტიარე მარგეპე* (Extiyarê Mergêhê) (მარგაპს უხუცესი).[75] ისინი ძირითადად შეიხთა ფახრადინის (შამსანის) გვარიდან ირჩევიან და მათი მეორე წოდებაა *ბავე შეხ*, რაც შეიხთა მამას ნიშნავს. ეს ტიტული მათ სასულიერო კრების მიერ ენიჭებათ. ეს ტიტული ორჯერ მიენიჭათ უმწიკვლო მურიდებს – ქოჩაკ ჯამსა და ქოჩაკ ბრაიმს.

სასულიერო კრების წევრები არიან: ბავე გავანი (Bavê Gavan),[76] პეშიმამი (Pêşîmamê Mergêhê),[77] ბავე ჩავიში (Bavê Çawîş).[78]ასევე ყავალთა (Qewal) მეთაური. ყავალები მქადაგებლები და ლალიშის ტაძრისთვის შემოწირულობების ამკრეფნი არიან. ეზიდთა სასულიერო კრება („დივანა დინ“ ან „ჯვატა რუჰანი“) თავის გადაწყვეტილებას ყავალების მეშვეობით ეზიდებს შორის ავრცელებს. სასულიერო კრების ნებას სპილენძის ფარშევანგის გამოსახულება ადასტურებს, რომელსაც ყავალები წელიწადში ერთხელ ეზიდთა სოფლებში ატარებენ წმინდა ტექსტების გალობის თანხლებით. საბჭოთა კავშირის შექმნამდე ყავალები ხშირად ჩადიოდნენ სომხეთში, ეზიდურ სოფლებში. მათი ბოლო ჩასვლა სამხრეთ კავკასიის გასაბჭოებასა და საზ-

75 მარგაპ – იმ ადგილს ჰქვია, სადაც ეზიდთა მთავარი ტაძარი მდებარეობს.

76 ეს ტიტული ამადინის შეიხთა გვარს ენიჭება. მის მოვალეობაში შედის თვალყური ადევნოს, თუ რამდენად იცავენ ეზიდები წეს-ჩვეულებებს და ასევე ეზიდებისათვის რჩევების მიცემა.

77 ეს ტიტული შეხსინის გვარის შეიხებს ენიჭებათ, რომლებიც რელიგიურ წესჩვეულებებს და რიტუალებს ხელმძღვანელობენ. იგი დღესასწაულებსა და რიტუალებზე დანარჩენ სასულიერო პირებზე წინ დგას.

78 ეს ტიტული იმ ეზიდს ენიჭება, ვინც ქორწინებაზე უარს ამობს და საკუთარ თავს ლალიშის ტაძარში სამსახურს უძღვნის. იგი ახტიარე მარგეპეს წარმომადგენელია ლალიშის ტაძარში, სადაც ყველაფერს ის განაგებს და წარმოადგენს შეიხ ადის მსახურს.

ღვრების ჩაკეტვას დაემთხვა, რის გამოც დიდხანს ვერ შეძლეს დაბრუნება სამხრეთ ქურთისტანში (თანამედროვე ჩრდილოეთ ერაყი). ყავალებმა მხოლოდ 1927 წელს, ეზიდი თავადის ასულ მაიან-ხათუნისა (ეზიდი ამირას ალი-ბეკის მეუღლე) და ბრიტანელი დიპლომატების დახმარებით შეძლეს ერაყში ჩასვლა. საბჭოთა კავშირში მათ დაეხმარა ქურთი მწერალი არაბე შამო.

ეზიდურ რელიგიაში ასევე არის სხვა თანამდებობებიც: ფსმირები (Pismîr): ფეშიმამე ბავე შეიხი (Pêşîmamê Bavê Şêx). მათ მოვალეობაში შედის ახტიარე მარგეჰეს თანხლება; ფაყირები (Feqîr) ეზიდი ბერებია, რომლებიც მისტიკოსებად ითვლებიან. სინჯარის მთებში ფაყირების მთელი სოფლებია; ფაყრაია (Feqraya) მონაზონია, რომელიც ასკეტური ცხოვრებით ცხოვრობს. იგი შეიძლება ნებისმიერი ეზიდი გახდეს. ზოგიერთი მათგანი სამუდამოდ რჩება ლალიშის ტაძარში: მაზნე ყავალის (Mezinê Qewala) ფუნქციაში ყავალების დაკვირვება და მათი ქმედების წარმართვა შედის; მჯევრის (Micêwir) ტიტულს ატარებს სამლოცველოს მსახური. ისინი უვლიან სამლოცველოს და შემოწირულობების წყალობით ცხოვრობენ. ისინი პასუხს აგებენ დასახლებაზე, სადაც არის სამლოცველოები, მონაწილეობენ თანასოფლელებს შორის დავების მოგვარებაში: ქოჩაკი (Koçek) წინასწარმეტყველია, რომელიც ნებისმიერი ეზიდი შეიძლება გახდეს, რომელსაც წინასწარმეტყველების უნარი აღმოაჩნდება. ქოჩაკების უმრავლესობა იყვნენ და არიან მურიდები. საქართველოსა და სომხეთის მურიდებში „ქოჩაკი" გაიგივებულია სიტყვა „მურიდთან". დღეს ამ სიტყვამ საქართველოსა და სომხეთის ეზიდებში „მკითხაობის" მნიშვნელობა შეიძინა; მათბახჩი (Metbexçî) ლალიშის ტაძრის მსახურები არიან, რომლებიც უნდა იყვნენ ჯვალოთი შემოსილი ფაყირები. მათი მოვალეობაა მოამზადონ ნაკურთხი საკვები დღესასწაულებისა და რიტუალების დროს; ფარაშის (Feraş) მოვალეობაა ყოველ საღამოს ან რიტუალების დროს აანთოს ზეითუნის ზეთში ამოვლებული

პატრუქები. ფარაშები ძირითადად ფაყირები ხდებიან; ხლმატ-კარი (Xizmetkar) ეზიდია, რომელიც ლალიშში მსახურობს. მის მოვალეობაში შედის ტაძრის მოვლა, კოცონისთვის შეშის მომზადება, ზეთისხილის შეგროვება და ლამპარისათვის ზეთის დამზადება.

### თანამედროვე რელიგიური პრობლემები

საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ, როდესაც საზღვრების გადალახვა გამარტივდა, ეზიდებს თავიანთი წმინდა ადგილების, კერძოდ, ლალიშის მონახულების საშუალება მიეცათ, თუმცა, მიუხედავად ამისა, საქართველოს ეზიდთა ძირითადი ნაწილი ამას ვერ ახერხებს. დღეისათვის ეზიდებს საქართველოში საკულტო ნაგებობა არ გააჩნიათ და ისინი ლოცვასა და სხვა რე-ლიგიურ დღესასწაულებს ოჯახებში ასრულებენ.

1990-იან წლებში საქართველოში შექმნილმა მძიმე ვითარე-ბამ ეზიდურ რელიგიას სერიოზული საფრთხე შეუქმნა. საქართ-ველოსა და სომხეთის ეზიდები სხვა ეკონომიკურად ძლიერი კონფესიების გავლენის ქვეშ აღმოჩნდნენ და მათი ნაწილი სხვა რელიგიის მიმდევარი გახდა. ეს ტენდენცია საგანგაშოდ მიიჩნე-ვა.[79]

ეზიდური რელიგიის საფუძვლების ელემენტარული ცოდნის გარეშე მათი მიმდევრები ხდებიან ქრისტიანები, იეღოვას მოწ-მეები, ადვენტისტები, ორმოცდაათიანელები, ევანგელისტები და კრიშნაიდები. ხშირად რელიგიის გამოცვლა გაუცნობიერებლად,

79 ირმა მალაციძე. „ქურთები რელიგიური სახლის დაარსებას აპირებენ თბილის-ში“, *რეზონანსი*. №72, 29 მაისი, 1996.

მატერიალური დაინტერესების[80] ან სხვა რელიგიების მხრიდან აქტიური პროზელიტიზმის შედეგია. სარწმუნოების შეცვლის მიზეზი რელიგიური მოღვაწეების პასიური მუშაობაც არის, რადგან საქართველოში მცხოვრები ეზიდების უმრავლესობამ პრაქტიკულად არაფერი იცის საკუთარი რელიგიის შესახებ. რელიგიურმა დღესასწაულებმა კი დაკარგა ჭეშმარიტი მნიშვნელობა. ამგვარი პროცესი ეზიდების ასიმილაციის საფრთხესაც წარმოშობს. აქვე, კიდევ ერთხელ უნდა აღვნიშნოთ, რომ საკუთრივ ეზიდიზმს პროზელიტიზმი არ ახასიათებს.

რელიგიური ლიდერები ეზიდიზმისადმი საფრთხეს სკოლებში რელიგიის გაკვეთილების სწავლებაშიც ხედავენ. რელიგიის გაკვეთილები ძირითადად ქრისტიანულ რელიგიას ეხება, რაც გავლენას ახდენს არაქრისტიანი (ამ შემთხვევაში ეზიდების) ბავშვების მსოფლმხედველობაზეც. გარდა ამისა, აღმსარებლობის შეცვლაზე გავლენას ახდენს საპატიმროებსა და შეიარაღებულ ძალებში მართლმადიდებელი სასულიერო პირების მიერ რელიგიური რიტუალების ჩატარება.

ეზიდი სასულიერო პირები რელიგიის შენარჩუნების საშუალებად ეზიდური საკულტო ნაგებობის მშენებლობას მიიჩნევენ. სამხრეთ კავკასიასა და მათ შორის საქართველოში ეზიდებს საკულტო ნაგებობა არა აქვთ. ქართული ინტელიგენციისა და საზოგადოებრივი ორგანიზაციების აქტიურობის შედეგად 2000 წელს ქალაქ თბილისის მერიამ ქალაქის გარეუბანში, ვარკეთილში, გამოჰყო მიწა, რომლის შესყიდვაც აუქციონის წესით იყო შესაძლებელი. თუმცა, ფინანსური პრობლემების გამო, ეს საკითხი ვერ გადაწყდა. საკულტო ნაგებობისათვის მიწის გამოყოფის მოთხოვნას ეზიდი სასულიერო პირები დღესაც აყენებენ.

80 მაია ჩიკვაიძე, „რა ვიცით კიდევ ერთი ეთნიკური უმცირესობის იეზიდების საქართველოში არსებობის და ყოფის შესახებ", *ახალი ვერსია*, №133, 2-8 თებერვალი, 2004.

## რელიგია - ეთნიკური თვითშეგნების ფორმირების ფაქტორი

საქართველოში, ისევე როგორც სომხეთში, მცხოვრები ქურთებისათვის ეთნიკური თვითშეგნების ფორმირების საკითხი განსაკუთრებით აქტუალურია. საქართველოს ქურთულ მოსახლეობაში დღემდე არ არის საერთო აზრი იმის შესახებ, თუ როგორ უნდა მოიხსენიონ აქ მცხოვრები ეზიდური რელიგიის მიმდევარი ქურთები.

ეზიდების მნიშვნელოვანი ნაწილისათვის ქურთი ერი მხოლოდ ისლამის მიმდევარ ქურთ მოსახლეობასთან ასოცირდება და მათდამი ნეგატიური დამოკიდებულება დღემდე შენარჩუნებულია. ეზიდების მეხსიერებას შემორჩა ოსმალთა იმპერიაში მუსლიმანების, მათ შორის მუსლიმანი ქურთების მიერ რელიგიის ნიადაგზე მათი დევნის შემთხვევები, რის შედეგადაც ისინი იძულებული იყვნენ თავი რუსეთის იმპერიისათვის, კერძოდ, სომხეთისა და საქართველოს ტერიტორიებისათვის შეეფარებინათ, სადაც მათ სიცოცხლეს საფრთხე არ ემუქრებოდა.

მუსლიმანი ქურთების რეპრესიულმა პოლიტიკამ სამხრეთ კავკასიაში დევნილი ეზიდების ქურთული ეთნიკური ჯგუფისაგან გაუცხოება გამოიწვია და განსხვავებული ეთნიკური თვითშეგნება ჩამოუყალიბა, რაშიც გადამწყვეტი როლი ეზიდურმა რელიგიამ შეასრულა, რომელსაც მათი წინაპრები საუკუნეების განმავლობაში იცავდნენ. შედეგად ქურთულ ეთნიკურ ჯგუფში გაჩნდა ქურთული ეთნოსის შემადგენელი, მაგრამ განსხვავებული რელიგიური ტრადიციების მიმდევარ ადამიანთა ჯგუფი, რომელიც საკუთარ ეთნიკურობას რელიგიური ფაქტორით განსაზღვრავ-

და. აღნიშნული პროცესების შედეგად, ეზიდი რელიგიური კუთვნილების გარდა, ეთნიკური ჯგუფისადმი კუთვნილების აღმნიშვნელი ტერმინიც გახდა. ამ საკითხზე სამეცნიერო წრეებში განსხვავებული შეხედულებები არსებობს, თუმცა, ამ შემთხვევაში მხოლოდ რეგიონში არსებული ტენდენციის განხილვით შემოვიფარგლებით.

ქურთებზე განსაკუთრებული გავლენა მოახდინა მთიანი ყარაბაღის კონფლიქტმა, როდესაც სომხეთსა და აზერბაიჯანში მცხოვრები ქურთები პირდაპირ თუ ირიბად აღმოჩდნენ კონფლიქტში ჩათრეულნი. აზერბაიჯანმა, რელიგიური ფაქტორის გათვალისწინებით, აზერბაიჯანში მცხოვრები მუსლიმანი ქურთების მომხრობა, სომხებმა კი, სომხეთში მცხოვრები ეზიდების გადაბირება დაიწყო, რის შედეგადაც მუსლიმანი ქურთები და ეზიდები კონფლიქტში სხვადასხვა მხარეზე აღმოჩდნენ ჩათრეულნი. სომხეთში გარკვეული ძალები ცდილობდნენ ეზიდების მუსლიმანი ქურთების წინააღმდეგ რელიგიურ საფუძველზე დაპირისპირებას. ამგვარ ვითარებაში სომხეთში წარმოიშვა ე.წ. „ეზიდური საკითხი". ქურთებში გარკვეული რელიგიური წრეები, სხვადასხვა ნაციონალისტური ჯგუფის მხარდაჭერით, შეეცადა ეზიდები ცალკე ეთნიკურ ჯგუფად ეღიარებინა, რომელსაც არაფერი ჰქონდა საერთო ქურთებთან.[81] აღნიშნული მოძრაობის ლიდერებმა საბჭოთა ხელმძღვანელობისაგან ეზიდების ცალკე ეთნოსად განხილვა მოითხოვეს. ამის შედეგად, 1989 წლის აღწერით, სომხეთში მცხოვრები 60 ათასი ქურთიდან 52 700 პირველად იქნა იდენტიფიცირებული, როგორც ეზიდი.

ზოგიერთი მკვლევარი ეზიდების საკითხის გამწვავებას მთიანი ყარაბაღის ომს უკავშირებს. თუმცა, არსებობს მოსაზრება, რომ ეზიდებს ყოველთვის ავიწროებდნენ ქურთები და

81 Ашири Ш., „Содружество Независимых Государств, Судьбы и Надежды", *АЗИЯ и АФРИКА сегодня*, 2/1998, 35.

მათი საერთო ენის მიუხედავად, ისინი დამოუკიდებელი ერია. ამ მოსაზრების მომხრეების მიერ სწორედ ეს სახელდება სომხეთში ეზიდური მოძრაობის აღმოცენების მიზეზად.[82] თუმცა, სომხეთში გამოჩდნენ ძალებიც, რომლებიც აცხადებდნენ, რომ ეზიდურ რელიგიურ და ყოფით ტრადიციებს ღრმად ჰქონდათ ფესვები გადგმული ქურთულ კულტურაში და თითქმის ყველა ეზიდური წმინდა წიგნი ქურთულ ენაზე იყო დაწერილი, ამ მოსაზრებამ საზოგადოებაში სერიოზული მხარდაჭერა ვერ მოიპოვა.

ქურთების ორ ნაწილად, ქურთებად და ეზიდებად დაყოფა, გასულ წლებში ოფიციალურად დაფიქსირდა საქართველოსა და სომხეთში ჩატარებული მოსახლეობის აღწერის შედეგების შესახებ გამოქვეყნებულ საბოლოო მასალებში. აღწერის შედეგებში ერთმანეთისაგან დამოუკიდებლად, ცალ-ცალკე არიან მოხსენიებულნი ეზიდები და ქურთები, როგორც ორი დამოუკიდებული ეთნიკური ჯგუფი.

საქართველოში 2002 წლის აღწერის დროს ეზიდები ცალკე ეთნიკურ ჯგუფად გამოყვეს ეზიდთა ტრადიციების ცენტრის - „რაზიბუნ"-ის მოთხოვნით. ამის გამო, საბოლოო მონაცემების შედგენისას ეთნიკური ჯგუფის კუთვნილების აღმნიშვნელ გრაფაში, მათ ვინც აღწერისას განაცხადა, რომ ეზიდები იყვნენ, ეზიდებად ჩაწერეს (18 329 კაცი), ხოლო მათ ვინც განაცხადა, რომ იყვნენ ქურთები - ქურთებად (2 514 კაცი).[83] მსგავსი ვითარებაა სომხეთშიც. უკანასკნელი აღწერის შედეგების მიხედვით, სომხეთში მცხოვრები ქურთები ორ ნაწილად არიან გაყოფილნი: ცალკე ეთნიკურ ჯგუფად არის მოხსენიებული ეზიდები, რომელთა რაოდენობა 40 620 კაცს შეადგენს (მთელი მოსახლეობის 1.3%)

82 Onnik Krikorian, „Being Yezidi", *Transitions Online*, 11 November, 2004.

83 საქართველოს სტატისტიკის სახელმწიფო დეპარტამენტი. *საქართველოს მოსახლეობის 2002 წლის პირველი ეროვნული საყოველთაო აღწერის შედეგები*, ტომი I, თბილისი, 2003, 110.

და თავად ქურთები – 1 519 კაცს (0.1%).[84] აღნიშნული ფაქტორი მიუთითებს, რომ ეზიდების შესახებ არ არსებობს ერთიანი ჩამოყალიბებული აზრი, არც ქურთულ, არც ქართულ და არც სომხურ საზოგადოებებში.

საქართველოს ქურთულ მოსახლეობაში ზემოხსენებულ საკითხზე საბოლოო შეთანხმება არ არის მიღწეული. 1990-იანი წლებიდან საქართველოში მცხოვრები ეზიდები საკუთარ თავს უფრო ქურთად მოიხსენიებენ, რაც ბოლო წლებში ქურთული ნაციონალიზმის აღმავლობისა და ქურთული საკითხის გლობალიზაციის შედეგია. საქართველოში მოღვაწე ქურთულ ორგანიზაციებსა თუ საზოგადო მოღვაწეებს შორის თითქოსდა მიიღწა გარკვეული კონსენსუსი და არჩეულია შუალედური ტერმინი ქურთი-ეზიდი, მაგრამ ეს საკითხი საბოლოოდ მოგვარებულად ჯერ კიდევ ვერ ჩაითვლება. ამ საკითხზე ერთიანი აზრის არარსებობას ადასტურებენ საქართველოში მოღვაწე ქურთული ორგანიზაციებიც, რომელთა დასახელებაში მოცემულია საქართველოში მცხოვრები ქურთების სახელის განსხვავებული ინტერპრეტაცია.[85]

84 Mihran Toumajan, „Armenian Census Results", *Armenian News Network/Groong*, 27 February, 2004.

85 მაგალითად, თბილისში ფუნქციონირებს „ქურთთა საინფორმაციო-კულტურული ცენტრი", „საქართველოს ეზიდთა კავშირი", „საქართველოს ქურთ-ეზიდთა ეროვნული კონგრესი". ამგვარი ვითარებაა სომხეთშიც. ამ საკითხზე: Джафаров М., „Интервью главным редакторам газеты „Риа таза" Амарике Сардар", *Новый Взгляд*, 2003, №3.

## გვარების საკითხი

სომხეთსა და საქართველოში დასახლების შემდეგ ეზიდებს აძლევენ ახალ საბუთებს, გამოგონილი გვარებით, ისე რომ გათვალისწინებული არ იყო, მათი წარმომავლობა – გვარი და ტომი. საქართველოში წინაპარის (ბაბუა, მამა) სახელს უმატებდნენ რუსულ დაბოლოებას ევ ან ოვ. აუცილებელია აღინიშნოს, რომ თავიდან სომხეთშიც რუსული დაბოლოებებით იგონებდნენ გვარებს, მაგრამ შემდგომში რუსული დაბოლოება შეიცვალა სომხური დაბოლოებით იან. მაგალითად, ვინმე შამოს მემკვიდრეები, რომლებიც საქართველოში დასახლდნენ შამოევებად, მისი შთამომავლები კი სომხეთში შამოიანები გახდნენ.

ზემოაღნიშნულის გამო, სხვადასხვა ეზიდური წოდების, კასტის, ტომისა და გვარის წარმომადგენელი ხშირად ერთი გვარის მატარებელი ხდებოდა. დღემდე ეზიდები ერთმანეთს იცნობენ გვარისა და ტომის სახელით და ნაკლებ ინტერესს ავლენენ ოფიციალური გვარების მიმართ, რომლებსაც მათ საკუთარი ნების წინააღმდეგ უწერდნენ საბუთებში. გასული საუკუნის 80-იან წლებში შეინიშნება ტენდენცია, როდესაც გვარებს იცვლიან გვარისა და ტომის კუთვნილების მიხედვით. ამგვარად გაჩნდა გვარები: ანყოსი, ბარავი, ისებია, ომარხალი, ხანი, ფირბარი, ყათანი, შამსანი და ა.შ. ბევრი მხოლოდ გვარის დაბოლოებას იცვლიდა, მაგალითად: შამოიანი ან შამოევი გახდა შამოი, მგოი, მამოი და აშ.[86]

ისტორიული გვარების აღდგენის პროცესი 2001 წლიდან შეწყდა, რადგან ახალი კანონმდებლობის მიხედვით, შეზღუდულია არაქართული ისტორიული გვარების აღდგენა.[87] აღნიშნულ

---

86 მამუკა კომახია, *ქურთული მოსახლეობა საქართველოში*, თბილისი, 2004, 52.

87 სოფო დვალი, „იეზიდები წინაპართა გვარების აღდგენას ითხოვენ", *აქცენტი*, №11, 20-26 მარტი, 2003.

საკითხზე ქურთული დიასპორის წარმომადგენლებმა ხელისუფლებასაც მიმართეს,[88] მაგრამ ეს პრობლემა ჯერჯერობით კვლავ მოუგვარებელია.

88 „В Стреча Председателем Парламента Грузии Нино Бурджанадзе", *Новый Взгляд*, №3, 2003.

## განათლება

საუკუნეების განმავლობაში ეზიდები წინააღმდეგობას უწევდნენ ძალდატანებით ისლამიზაციას და ყველანაირად ცდილობდნენ საკუთარი რწმენა შეენარჩუნებინათ. ისინი იძულებული იყვნენ უარი ეთქვათ მუსლიმანი რელიგიური ლიდერებისგან მიეღოთ განათლება, რაც შემდგომში ტრადიციად იქცა, რომელსაც ეზიდები მკაცრად იცავდნენ. ამის გამო XX საუკუნემდე მათი უმრავლესობა წერა-კითხვის უცოდინარი იყო.[89]

1903-1904 წლებში სამხრეთ კავკასიაში 30 ათას ქურთულ ოჯახზე მხოლოდ ოთხი დაწყებითი სკოლა მოდიოდა. სასკოლო ლიტერატურის მშობლიურ ენაზე არარსებობის გამო, სკოლებში სწავლა რუსულ ენაზე მიმდინარეობდა. რუსულ სკოლაში მოსწავლე ქურთების რაოდენობა შეადგენდა მთელი ქურთი მოსახლეობის მხოლოდ 0.1 პროცენტს და ისინიც ძირითადად ქურთული მოსახლეობის ზედა ფენებს ეკუთვნოდნენ.[90]

ქურთულ მოსახლეობაში არსებული განათლების პრობლემის მოგვარება საბჭოთა პერიოდიდან იწყება, როდესაც საბჭოთა ხელისუფლება მოსახლეობაში და მათ შორის ეთნიკურ უმცირესობებში აღნიშნული პრობლემების მოგვარებას იწყებს.

1922 წელს ქ. ერევანში შემოიღეს ქურთული დამწერლობა, რასაც 1923 წელს თბილისში ინტერნატის გახსნა მოჰყვა, სადაც სწავლა რუსულ, ქართულ, სომხურ და მშობლიურ ქურთულ ენაზეც მიმდინარეობდა. აღნიშნულ სასწავლებელს დიდი მნიშვნელობა ჰქონდა სამხრეთ კავკასიის ქურთებისთვისაც. ამ პერიოდში სამხრეთ კავკასიაში ქურთი ინტელიგენტების რაოდენობა

89 Пирбари Д., „Езидское Письмо". *კავკასიის ეთნოლოგიური კრებული*, VIII, ივ. ჯავახიშვილის სახელობის ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტი, თბილისი, 2003, 199-202.

90 ბალჩოე ისკო, *ქურთები ამიერკავკასიაში*, საქართველოს სსრ საზოგადოება „ცოდნა", სახელმწიფო გამომცემლობა „საბჭოთა საქართველო", თბილისი, 1963, 8.

ძალზე მცირე იყო. ამიტომაც, ქურთების სკოლებში პედაგოგიურ მუშაობას ეწეოდნენ რუსები, ქართველები (ინტერნატში ქართულ ენას ასწავლიდა კოტე ბახტაძე), სომხები და აზერბაიჯანელები.

1920-იან წლებში სამხრეთ კავკასიაში ადგილობრივი საბჭოთა ხელისუფლება ქურთ ახალგაზრდობას სასწავლებლად აგზავნის მოსკოვში, ლენინგრადში, ერევანში, ბაქოსა და თბილისში. 1929 წელს თბილისსა და ერევანში გაიხსნა ქურთი ახალგაზრდობის მოსამზადებელი ცხრათვიანი კურსები, რომელსაც თბილისში პროფესორი იუსუფ ქამილ ბეი ბადრხანი ხელმძღვანელობდა. შემდგომში იმ ახალგაზრდობამ, რომლებმაც ეს კურსები დაამთავრეს, დიდი როლი შეასრულეს ქურთების სწავლა-აღზრდის საქმეში.[91] ქურთებში წერა-კითხვის უცოდინრობის აღმოსაფხვრელად 1925 წელს თბილისში უფროსი თაობისათვის საღამოს სკოლები გაიხსნა.[92]

ქურთებისათვის ამ პერიოდში თბილისში მოქმედებდა პირველი საფეხურის შრომის სკოლა, სადაც ძალიან ცოტა ბავშვი სწავლობდა. 1926 წელს 400 სასკოლო ასაკის ბავშვიდან სკოლაში დადიოდა 39, ხოლო 1927 წელს - 25 ბავშვი, მათგან მხოლოდ ორი იყო გოგონა. სკოლა მდებარეობდა „თათრის მოედანზე", რომელიც ქურთებით დასახლებული უბნებიდან საკმაოდ იყო მოშორებული. ბავშვები სკოლაში ფეხით მიდიოდნენ ვაგზლის, ვერისა და სხვა რაიონებიდან. ბავშვებს სკოლაში აძლევდნენ ჩაის, პურს და წინსაფარს მეცადინეობის დროს. უფასოდ იღებდნენ ზოგიერთ სასწავლო სახელმძღვანელოსაც.[93]

ქურთული სკოლები სამცხე-ჯავახეთშიც ფუნქციონირებდა.

91 ბალჩოე ისკო. *ქურთები ამიერკავკასიაში*, საქართველოს სსრ საზოგადოება „ცოდნა", სახელმწიფო გამომცემლობა „საბჭოთა საქართველო", თბილისი, 1963, 20-21.

92 ტოგარ ბროევი, *ქურთები საქართველოში*, საქართველოს სსრ საზოგადოება „ცოდნა", თბილისი, 1984, 14.

93 ავთანდილ სონღულაშვილი, *ეროვნულ უმცირესობათა კულტურა საქართველოში*, თბილისი, „მეცნიერება", 2002, 23.



აჰმადე შავეში

ამის შესახებ საინტერესო ცნობებს გვაწვდის XX საუკუნის ოციან წლებში საქართველოში მოღვაწე ქურთი მწერალი აჰმადე შავეში. მისი გადმოცემით, იგი ხელისუფლების დავალებით სამცხე-ჯავახეთის ქურთებით დასახლებულ სოფლებში, კერძოდ, თმოგვში, ნაქალაქევში, ტოლოშში და სხვ. ქურთული სკოლების გასახსნელად გააგზავნეს. ვინაიდან ახალციხის რაიონში იმ პერიოდში ცხოვრობდნენ თურქულენოვანი და ასევე ქურთულენოვანი მოსახლეობა. საქართველოს სახალხო განათლების კომისარიატის ბრძანებულებაში მითითებულია: „ ... იმ სოფლებში, სადაც არ იციან ქურთული ენა, დარჩეს თურქულენოვანი სკოლები და ჩატარდეს ქურთული ენის გაკვეთილები. იმ სოფლებში კი, სადაც ქურთულად საუბრობენ, ქურთული სკოლები გაიხსნას." სამცხე-ჯავახეთის ქურთულენოვანი სკოლებისათვის თბილისში მასწავლებლების მომზადებაც დაიწყეს. კადრების მომზადება დაევალა ქურთ უფლისწულს იუსუფ ქამილ ბეი ბადრხანის. სულ მომზადდა რვა მასწავლებელი, აქედან ოთხი თბილისიდან გაიგზავნა სოფ. ტოლოშში.[94]

1920-იან წლებში ქურთებში წერა-კითხვის მცოდნეთა რაოდენობა 1-2%-ს უდრიდა.[95] საბჭოთა მმართველობის დასაწყისში ქურთ მოსახლეობაში განათლების პრობლემა მეტ-ნაკლებად გადაწყდა, თუმცა, წერა-კითხვის უცოდინრობა სრულად ვერ აღმოიფხვრა. შემდგომ წლებში ამ მიმართულებით გარკვეული წინსვლა შეინიშნებოდა. 1930 წელის სასწავლო წლის დასაწყისში საქართველოში არსებობდა ორი სკოლა, შემდგომ გაიხსნა კიდევ სამი შვიდწლიანი სკოლა.

ქურთი მოსწავლეები სამხრეთ კავკასიის ქალაქებსა და სოფლებში სწავლობდნენ რუსულ, ქართულ, აზერბაიჯანულ და

94 Ehmedê Şewêş, *Bîranînêd min*, „Hayastan", Yêrêvan, 1966. 160-161. 173.

95 ავთანდილ სონღულაშვილი. *ეროვნულ უმცირესობათა კულტურა საქართველოში*. თბილისი, „მეცნიერება". 2002, 22-24.

სომხურ სკოლებში. იმ კლასებში, სადაც ბავშვების უმრავლესობა ქურთი იყო, მშობლიური ენის გაკვეთილები ტარდებოდა კვირაში ორჯერ. მაგალითად, თბილისის მეშვიდე საშუალო სკოლასთან შექმნილი იყო ქურთული სექტორი, რომელშიც 1962-63 წლებში სწავლობდა 94 ქურთი ბავშვი, მათ შორის 47 გოგონა. სკოლებში ქურთი ბავშვების რაოდენობის გაზრდის შედეგად, გაიზარდა ქურთ სტუდენტთა რაოდენობაც უმაღლეს სასწავლებლებში.[96]

ქურთების განათლების საკითხისადმი განსაკუთრებული ყურადღების გამოხატულებაა 1978 წლის 24 იანვარს საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მიერ მიღებული დადგენილება „საქართველოში მცხოვრებ ქურთ მოსახლეობასთან იდეურ-აღმზრდელობითი მუშაობის გაძლიერების ღონისძიებების შესახებ“. ამ დადგენილების საფუძველზე ქურთი ახალგაზრდობისათვის დაუშვეს მოსამზადებელ განყოფილებებზე სპეციალური ლიმიტი უმაღლეს სასწავლებლებში მაღალკვალიფიციური სპეციალისტების მომზადებისა და რესპუბლიკის სახალხო მეურნეობის სხვადასხვა დარგში მათი გამოყენების მიზნით.[97]

საბჭოთა სისტემის მოშლის შემდეგ გარკვეული პერიოდი ქურთებით კომპაქტურად დასახლებული თბილისის რაიონების რამდენიმე სკოლაში მიმდინარეობდა ქურთული ენის ფაკულტატური სწავლება. თუმცა სწავლება ფიქტიურ ხასიათს ატარებდა.

ამჟამად ქურთების მცირე ნაწილს, რომლებსაც სურთ საქართველოში დარჩენა, ბავშვები ქართულენოვან სკოლებში შეჰყავთ, ხოლო ძირითად ნაწილს, რომლებიც ემიგრაციაზე

96 ბაღჩოე ისკო. *ქურთები ამიერკავკასიაში*. საქართველოს სსრ საზოგადოება „ცოდნა“, სახელმწიფო გამომცემლობა „საბჭოთა საქართველო“, თბილისი, 1963, 21.

97 ტოგარ ბროევი. *ქურთები საქართველოში*. საქართველოს სსრ საზოგადოება „ცოდნა“, თბილისი, 1984, 22.

ფიქრობენ – რუსულენოვან სკოლებში.

საქართველოში მცხოვრები ქურთები საუბრობენ ქურთული ენის ჩრდილო-დასავლურ დიალექტზე – კურმანჯიზე, რომელიც ირანულ ენათა ჯგუფს განეკუთვნება. კურმანჯის დიალექტზე ყოფილი საბჭოთა კავშირის რესპუბლიკებში მცხოვრები ქურთების უმრავლესობის გარდა, საუბრობს თურქეთში მცხოვრები ქურთების ძირითადი ნაწილი, ერაყის ქურთების ნახევარი, ირანის ჩრდილო-დასავლეთ რაიონებისა (ხორასანი, ურმიის ტბის ჩრდილო-დასავლეთი) და სირიაში მცხოვრები ქურთები. ქურთების დანარჩენი ნაწილი საუბრობს სორანის,[98] გორანისა და ზაზას[99] დიალექტებზე.[100]

მშობლიური ენის შესწავლის შესაძლებლობა დღეისათვის მარტო ოჯახებშია შესაძლებელი. ქურთების ახალგაზრდა თაობის გარკვეულმა ნაწილმა მხოლოდ სალაპარაკო ქურთული იცის, რაც გამოწვეულია ქურთულ ენაზე ლიტერატურის მიუწვდომლობით, ასევე ქურთული ენის სპეციალისტების ნაკლებობით. აღსანიშნავია პოზიტიური ცვლილებებიც. მაგალითად, 2004 წელს საქართველოში ნიდერლანდების სამეფოს საელჩოს ფინანსური მხარდაჭერით გამოიცა წიგნი „ანბანი ქურთული ენისათვის“.

დღეს ქურთები სხვა ერებთან საკომუნიკაციოდ იყენებენ ქართულ და რუსულ ენებს. ახალგაზრდა თაობაში განსაკუთრებით გაიზარდა ინტერესი ქართული ენის შესწავლისადმი.

98 სორანიზე საუბრობენ ირანის ქურთების უმრავლესობა, ერაყის ქურთების ნაწილი.

99 გორანიზე საუბრობენ ირანისა და ერაყის ქურთისტანის სამხრეთ რაიონებში.

100 ზაზაზე საუბრობენ თურქეთის თუნჯელის პროვინციაში.



თბილისელი ეზიდები

## კულტურა

საბჭოთა ხელისუფლება ეთნიკური უმცირესობების განათლებასა და კულტურულ განვითარებას განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევდა. 1925 წელს თბილისში დაარსდა ქურთების კლუბი, რომელმაც მნიშვნელოვანი როლი შეასრულა მათ კულტურულ ცხოვრებაში. კლუბში მოქმედებდა ლიტერატურის, დრამატული, ხალხური ცეკვებისა და სიმღერების წრეები. აღსანიშნავია ლიტერატურული წრის მუშაობა. მან დიდი როლი შეასრულა ქურთების მდიდარი ფოლკლორის შეგროვებაში, დრამატულმა წრემ პირველად დადგა ქურთული კლასიკური ლიტერატურის წარმომადგენლის აჰმად ხანის გალექსილი რომანის მიხედვით პოემა-ტრაგედია „მამე და ზინე". ეს წრე სპექტაკლებს მართავდა სომხეთშიც. წრეების საქმიანობაში დიდი დამსახურება მიუძღვით ცნობილ საზოგადო მოღვაწეებს აჰმადე შავეში, სისიანი, შკოე ჰასანი, ბაღჩოე ისკო-სლოიანი, ჯალილე აჯო, ტოგარ ბროევი, მოროფ მამედოვი და სხვ.[101]

1926 წელს ბათუმში დაარსდა „კულტურულ-საგანმანათლებლო საზოგადოება ქურთი-ეზიდებისათვის".

საქართველოში ქურთული კულტურის რენესანსი 1970-1980-იან წლებში დაიწყო. 1981 წელს საქართველოში ჩატარდა ქურთთა კულტურის დღეები. ამ მოვლენასთან დაკავშირებით საქართველოს ტელევიზიამ მოაწყო ტელეგადაცემა, რომელიც მიეძღვნა ქურთულ მუსიკალურ ფოლკლორს. გადაცემაში მოკლედ იყო მოთხრობილი ქურთების ისტორიის შესახებ, მათი საქართველოში გადმოსახლებისა და დასახლების მიზეზები, ნაჩვენები იყო ქურთული მუსიკალური საკრავები, შესრულდა ქურთული ხალხური სიმღერები.

101 ავთანდილ სონღულაშვილი, *ეროვნულ უმცირესობათა კულტურა საქართველოში*, თბილისი, „მეცნიერება". 2002, 46

ამავე პერიოდში ინტენსიურად გამოიცემა ქურთი პოეტებისა და მწერლების მხატვრული ნაწარმოებები მშობლიურ ენაზე. ტელევიზიისა და რადიომაუწყებლობის სახელმწიფო კომიტეტმა შემოიღო ყოველკვირეული გადაცემები საზოგადოებრივ-პოლიტიკურ თემაზე ქურთულ ენაზე.[102] საქართველოს ჟურნალისტთა კავშირთან შეიქმნა ქურთ კორესპონდენტთა ჯგუფი, რომლის მიზანი იყო ცენტრალურ და საქალაქო გაზეთებში, ასევე ტელევიზიითა და რადიოთი ქურთი მოსახლეობის ცხოვრებისა და საქმიანობის გაშუქება.

ქურთული კულტურის რენესანსის პერიოდში საბჭოთა კავშირში ქურთების ერთადერთი სახალხო თეატრი საქართველოში არსებობდა. ასევე საზოგადოებრივ-პოლიტიკური კითხვის მიზნით, თბილისში კიროვის რაიონში ქურთი ეროვნების მუშებისათვის გაიხსნა სახალხო უნივერსიტეტი. საბჭოთა პერიოდში ამგვარი სახალხო უნივერსიტეტების მიზანი ეთნიკური უმცირესობების კულტურული, იდეოლოგიურ-პოლიტიკური დონის ამაღლება იყო. ასევე შეიქმნა ქურთთა შემოქმედებითი სექციები მწერალთა და მხატვართა კავშირებში, მუსიკისა და ცეკვის ანსამბლები.

საქართველოს მიერ დამოუკიდებლობის მოპოვების შემდეგ ქვეყანაში შექმნილი არასტაბილური ვითარების მიუხედავად, ქურთების კულტურული დაწესებულებები განაგრძობდა მუშაობას. 1991 წელს პარიზში მოღვაწე ქურთული ინსტიტუტის ხელშეწყობით, საფრანგეთში ქურთული სახალხო თეატრის გასტროლებიც კი მოეწყო.[103]

1990 წლიდან კულტურული ცხოვრება სერიოზულ კრიზისს

102 ამავე პერიოდში, 1980 წლის თებერვალში, საქართველოს ტელევიზიამ მოაწყო ერთსაათიანი გადაცემა - „ჩვენ ინტერნაციონალისტები ვართ". გადაცემა მიეძღვნა საქართველოს ქურთებს და მასში ასახული იყო ქურთების ყოფა-ცხოვრება საქართველოში.

103 Мразе Узо, „Курдскому институту в Париже 20 лет", *Новый Взгляд*, №1, 2003.

განიცდის. ამის მიზეზი ქვეყანაში შექმნილი მძიმე სოციალურ-ეკონომიკური ვითარება და სახელმწიფოს მიერ კულტურული ღონისძიებებისა და დაწესებულებების დაფინანსების შემცირებაა. ქურთული სახალხო თეატრი სახელმწიფოს მხრიდან დაფინანსების შეწყვეტის გამო 1992 წლიდან აღარ ფუნქციონირებს. შემდგომ წლებში, ფინანსური პრობლემების გამო, არსებობას წყვეტს ქურთული ფოლკლორული ანსამბლები. 1998-2000 წლებში სახელმწიფო ბიუჯეტიდან ქურთებისათვის გამოიყო მცირე თანხა, ენის შესასწავლად, თეატრის აღსადგენად, ქორეოგრაფიული ჯგუფებისა და ანსამბლებისათვის. შემდგომში სახელმწიფო დაფინანსება შეწყდა, რასაც ქურთული კულტურული კერების არსებობის შეწყვეტა მოჰყვა. ეროვნული თუ რელიგიური დღესასწაულების აღნიშვნა მხოლოდ კერძო შემოწირულობებით და ისიც პერიოდულად ხორციელდება.

საქართველოში მცხოვრები ქურთებისათვის და ზოგადად ქართულ-ქურთული ურთიერთობებისათვის მნიშვნელოვანი მოვლენაა 2008 წელს ქურთულ ენაზე გამოქვეყნებული შოთა რუსთაველის „ვეფხისტყაოსანი", რომელიც ცნობილმა ქურთმა პოეტმა ჯარდოე ასადმა (1929-1993წ.წ.) თარგმნა. ასევე მნიშვნელოვანი მოვლენა იყო, ქურთი მეცენატების დაფინანსებით, 2007 წელს გამოცემული საქართველოს ეროვნული მუზეუმის ეთნოგრაფიის განყოფილების ფონდში დაცული ქურთული მატერიალური კულტურის ნიმუშების ალბომი, რომელიც საქართველოს ქურთი ინტელიგენციის კავშირისა და საქართველოს ეროვნული მუზეუმის თანამშრომლობის შედეგად გამოქვეყნდა. გარდა ამისა, ბოლო პერიოდში ქურთულ თემასთან დაკავშირებით პერიოდულად გამოდის საქართველოში მოღვაწე ქურთი მეცნიერების ლამარა ფაშაევას, ქერიმ ამოევის, ქერიმ ანყოსის და სხვების ნაშრომები.

## მასმედია

ქურთულენოვანი მასმედია საქართველოში პრაქტიკულად არ არსებობს. გამონაკლისს წარმოადგენდა ყოველკვირეული თხუთმეტწუთიანი რადიოგადაცემა, რომელიც საბჭოთა პერიოდში 1978 წელს ტელევიზიისა და რადიომაუწყებლობის სახელმწიფო კომიტეტში შეიქმნა და გასული საუკუნის 90-იანი წლების მიწურულამდე ფუნქციონირებდა. რადიოგადაცემა ძირითადად საქართველოში მიმდინარე მოვლენებს აშუქებდა. განსაკუთრებული ადგილი ეკავა ქურთულ ფოლკლორს, კულტურას. რადიოგადაცემის მაუწყებლობას პრობლემები საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ შეექმნა, როდესაც საქართველოში არსებული მძიმე სოციალურ-ეკონომიკური პრობლემების გამო, რადიოგადაცემის ტრანსლირება ტექნიკური მიზეზების გამო შეწყდა. ქურთულენოვანი რადიოგადაცემის აღდგენა მხოლოდ 2008 წელს მოხერხდა. საინფორმაციო-მუსიკალური რადიოგადაცემა „რონკაი" (სინათლე) ყოველკვირეულად ათი წუთის ხანგრძლივობით გადის ეთერში.

თანამედროვე საინფორმაციო ტექნოლოგიების პირობებში, საქართველოს ქურთული მოსახლეობისათვის ხელმისაწვდომია ქურთულენოვანი რადიოები და სატელიტის საშუალებით ტელევიზიები, რომლებიც ირანისა და ერაყის ქურთისტანში (ტელევიზიები „Kurdistan TV", „Kurdsat", „Zagros", „Newroz"), დანიაში, ბელგიაში, საფრანგეთში (ტელევიზიები „RojTV", „Mezopotamia", „Tishk", „Rojhelat", „KURD1") მაუწყებლობენ.

აღნიშნული ტელევიზიები ფაქტობრივად ქურთული პოლიტიკური ჯგუფების (ქურთისტანის მუშათა პარტია, ქურთისტანის დემოკრატიული პარტია, ქურთისტანის პატრიოტული კავშირი და სხვ.) მფლობელობაშია და პოლიტიკური ჯგუფების ინტერესებს გამოხატავს. შემეცნებითი გადაცემების გარდა, აღნიშ-

ნული მედიასაშუალებები კონკრეტული პოლიტიკური ჯგუფის იდეოლოგიას გამოხატავს.

აღნიშნული მედიასაშუალებებიდან საქართველოში განსაკუთრებული პოპულარობით სარგებლობს „RojTV“, „Mezopotamia“ და „Kurdistan TV“, რადგან აქ გასული გადაცემების უმრავლესობა კურმანჯის დიალექტზეა. აღნიშნული გადაცემები ქურთულ მოსახლეობაში ეთნიკური თვითშეგნების ამაღლებას ცდილობს.

ბეჭდვითი მედიასაშუალებებიდან აღსანიშნავია საქართველოში გამომავალი პირველი ქურთულენოვანი (გამოდიოდა რუსულ ენაზეც) გაზეთი „გლავეჟი“, რომელიც ფინანსური პრობლემების გამო, დღეს აღარ გამოდის. საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ საქართველოში მოღვაწე პოლიტიკური ჯგუფების (შოთა რუსთაველის საზოგადოება, ედუარდ შევარდნაძის მხარდამჭერი პოლიტიკური ჯგუფი, ახალი მემარჯვენეები, აღორძინება) დაფინანსებით,[104] ეთნიკურად ქურთი ამომრჩევლების მხარდაჭერის მოსაპოვებლად რუსულ და ქართულ ენებზე გამოდიოდა სხვადასხვა გაზეთი: „მზერა“, „ახალი ქურთისტანი“, „იაკტი“, „რონაი“, „კანია სპი“, „ახალი მზერა“, „ქურთების ხმა“, ჟურნალი „მიდია“. ყველა ეს გამოცემა დროებითი იყო.

ქურთული ორგანიზაციების მიერ გამოცემული გაზეთების უმრავლესობა 2003 წელს რუსულ ენაზე გამოიცემოდა. აღნიშნული გაზეთები სხვადასხვა პოლიტიკური პარტიის მიერ საკუთარი წინასაარჩევნო კამპანიის ფარგლებში ფინანსდებოდა. გაზეთები ქურთული საკითხების გარდა, ადგილობრივ პოლიტიკურ ვითარებასაც აშუქებდა და პირდაპირ თუ ირიბად საქართველოში მცხოვრებ ქურთებს გაზეთის სპონსორი პოლიტიკური ჯგუფის

104 ზოგიერთ გაზეთს, სხვადასხვა პერიოდში, აფინანსებდა ერაყში მოღვაწე ქურთული პარტიები - ქურთისტანის დემოკრატიული პარტია და ქურთისტანის პატრიოტული კავშირი.

მხარდაჭერისაკენ მოუწოდებდა. მაგალითად, გაზეთ „Kaniya Sipî"-ს „დემოკრატიული აღორძინების კავშირი" აფინანსებდა, „Новый Взгляд"-ს - „ახალი მემარჯვენეები",[105] „МИДИЯ"-ს[106] კი - საქართველოს პრეზიდენტის ედუარდ შევარდნაძის მხარდამჭერი საარჩევნო ბლოკი. 2003 წლის ნოემბრის ხავერდოვანი რევოლუციის შემდეგ ყველა ამ გაზეთს ფინანსური პრობლემა შეექმნა.

ქართულ მასმედიაში ქურთების შესახებ იშვიათად დაბეჭდილ სტატიებში ქურთები ხშირად ნეგატიურ კონტექსტში არიან მოხსენიებულნი, რაც ქურთული მოსახლეობის, განსაკუთრებით კი ინტელიგენციის მწვავე რეაქციას იწვევს.

ქართულენოვან ბეჭდვით მედიაში გამოქვეყნებულ სტატიებზე გავლენას ახდენს ის ნეგატიური სტერეოტიპებიც, რომლებიც ქურთების მიმართ ათწლეულობის განმავლობაში დამკვიდრდა. ქურთი ასოცირდება მეეზოვესთან, შავ მუშასთან და ა.შ. მიუხედავად იმისა, რომ 1990-იანი წლებიდან მოყოლებული ქვეყანაში შეცვლილი სოციალურ-ეკონომიკური ვითარების შედეგად, ზემოჩამოთვლილი პროფესიების წარმომადგენლები სხვა ეთნიკური ჯგუფებიც გახდნენ, ქურთი მეეზოვის სტერეოტიპი არ გამქრალა.

ქართულ ბეჭდვით მედიაში ქურთულ საკითხზე აზრის გამოთქმას პერიოდულად პოლიტიკური ხასიათიც ეძლევა. ამის მაგალითია, 2002 წლის 8 ნოემბერს საქართველოს კულტურულ ურთიერთობათა ცენტრში - „კავკასიური სახლი" გამართული შეხვედრა.[107] აღნიშნული შეხვედრა პრესის მიერ სხვადასხვა-

105 „Читателям „Нового взгляда"", *Новый Взгляд*, №1, 2003.

106 „Презентация: В добрый путь „МИДИЯ"", *Новый Взгляд*, №7, 2003.

107 ამ შეხვედრის შესახებ იხილეთ სხვადასხვა გაზეთში გამოქვეყნებული სტატიები: ლელა მარგიანი, „იეზიდად უნდა დარჩე", *24 საათი*, N:160, 9 ნოემბერი, 2002; რუსუდან კიკნაძე, „ქართული ტოლერანტობა და ქურთული თვითდამკვიდრება", *ტრიბუნა*, N:36, 11 ნოემბერი, 2002; ია მერკვილაძე, „ქურთები საქართველოში", *დილის გაზეთი*, N:270, 19 ნოემბერი, 2002; Джафаров М., „В Гостях у „Кавказсково Дома"", *Новый Взгляд*, №1, 2003.

ნაირად შეფასდა. ზოგიერთმა გაზეთმა, და პოლიტიკურმა მოძრაობამ შეხვედრაზე გამოთქმულ მოსაზრებებს პოლიტიკური დატვირთვაც მისცა, რამაც ადგილობრივი ქურთების გაღიზიანება გამოიწვია.[108]

ბოლო წლებში ქურთების შესახებ ქართულ მედიაში არაერთი სტატია დაიბეჭდა. სტატიების უმრავლესობაში ცალსახად იგრძნობა, რომ ქართული მედია ნაკლებად იცნობს საქართველოში მცხოვრები ქურთების კულტურას, რელიგიასა და ყოფას.

108 ზაზა ბაკაშვილი. „შევარდნაძე ქართველებსა და ქურთებს შორის კონფლიქტს აღვივებს", *ახალი თაობა*, №336, 6 დეკემბერი, 2002.

## ორგანიზაციები

საბჭოთა კავშირის არსებობის ბოლო წლებში ეროვნული გამოღვიძება და ეთნიკური ნიშნით ორგანიზაციების შექმნის პროცესი შეინიშნება.[109] საქართველოში პირველი ქურთული ორგანიზაცია სრულიად საქართველოს რუსთაველის საზოგადოებასთან არსებული ქურთთა ასოციაცია „რონაი" (სინათლე) 1988 წელს შეიქმნა.[110] 1991 წლის აგვისტოში ორგანიზაცია ერაყში მიმდინარე სამხედრო კამპანიის დროს ლტოლვილი ქურთების ჰუმანიტარული დახმარების ინიციატივით გამოვიდა. 15 კაციანი დელეგაციის გაცილებას საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე ნემო ბურჭულაძეც დაესწრო.[111]

„რონაის" შემდგომში „საქართველოს ქურთ მოქალაქეთა საზოგადოება", 1998 წელს, ორგანიზაციის ხელახალი რეგისტრაციის შედეგად კი „საქართველოს ეზიდთა კავშირი" ეწოდა. ორგანიზაციამ საქართველოში გერმანიის საელჩოს ფინანსური და მატერიალური მხარდაჭერით წარმომადგენლობისათვის შენობაც შეიძინა.[112] 2003 წელს, ორგანიზაციის თავმჯდომარეს როსტომ ატაშოვსა და გამგეობის უმრავლესობას შორის, რომელიც

109 აღსანიშნავია, რომ საქართველოში ეროვნული გამოღვიძების პროცესს, კერძოდ, 1989 წლის 9 აპრილის ტრაგიკული მოვლენების შემდეგ, როდესაც საბჭოთა კავშირის შეიარაღებულმა ძალებმა თბილისში მშვიდობიანი მიტინგი დაარბია, რასაც ადამიანთა მსხვერპლი მოჰყვა, მხარი დაუჭირეს ქურთი ინტელიგენციის წარმომადგენლებმაც. ქურთი ინტელიგენციის წარმომადგენლებმა კრემლსა და სახალხო დეპუტატების საბჭოსადმი გაგზავნილ წერილში დაგმეს 9 აპრილს მომხდარი მოვლენები და ასევე მედიაში გავრცელებული ინფორმაციები, რომლებიც ქართველებს ნაციონალიზმსა და სხვა ერების შევიწროებაში სდებდა ბრალს: „„სახალხო განათლებისა" და „საქართველოს" რედაქციებს (1989 წლის 6 ივნისი)", *სახალხო განათლება*, №5, 1 თებერვალი, 1990.

110 Бердзенишвили Л., „Интервью с президентом курдской ассоциации „Ронай" Юрием Набиевым", *Свободная Грузия*, №169, 12/12/1992.

111 ლარისა თუმანიშვილი, „როცა ძმას უჭირს", *საქართველოს რესპუბლიკა*, №152, 3 აგვისტო, 1991.

112 „Немцы помогли Курдам Тбилиси приобрести офис", *Многонациональная Грузия*, №4, 2002.

ქურთი ინტელიგენციის წარმომადგენლები იყვნენ, თავმჯდომარის არჩევის საკითხზე უთანხმოება წარმოიშვა. მათ 2004 წელს ახალი ორგანიზაცია „საქართველოს ქურთი ინტელიგენციის კავშირი“ ჩამოაყალიბეს.

ქურთულ ორგანიზაციებს შორის განსაკუთრებული რადიკალიზმით გამოირჩევა „ქურთთა საინფორმაციო-კულტურული ცენტრი“, რომლის საქმიანობაც თურქეთის მიერ ნომერ პირველ ტერორისტად გამოცხადებული ქურთისტანის მუშათა პარტიის ლიდერის – აბდულა ოჯალანის[113] სახელს უკავშირდება. ცენტრი საქართველოს ქურთულ მოსახლეობაში ოჯალანის იდეების ყველაზე აქტიური გამტარებელია. ორგანიზაცია 1991 წელს ქურთების განმათავისუფლებელი ფრონტის საქართველოს ფილიალის სახით ჩამოყალიბდა. იგი თავის საქმიანობას ღიად ეწევა და თბილისში წარმომადგენლობაც აქვს გახსნილი, სადაც იმართება კულტურული ღონისძიებები, ფუნქციონირებს ენის შემსწავლელი კურსებიც. თუმცა, ორგანიზაცია ყურადღებას სხვა სახის საქმიანობით უფრო იქცევს. მაგალითად, ცენტრის მიერ გავრცელებული ინფორმაციის თანახმად, 1999 წლის 30 მარტს შეიარაღებული პოლიციელები და უშიშროების თანამშრომლები მათ ოფისში შევიდნენ და 6 ქურთი ეროვნების ადამიანი დააკავეს. იმავე ღამით სამართალდამცავი სამსახურების წარმომადგენლებმა ქურთთა ოჯახებში მყოფი სხვა ქვეყნის ქურთებიც აიყვანეს. 13 დაკავებულიდან 7 სომხეთის მოქალაქე აღმოჩნდა, რომელთაც ხელწერილები დააწერინეს და რამდენიმე დღეში საქართველოდან წასვლაზე შეუთანხმდნენ. დანარჩენი 6 ქურთი თურქეთის მოქალაქე აღმოჩნდა და ისინი თურქეთს გადასცეს.

ამ მოვლენის შემდეგ დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თან-

113 ქურთისტანის მუშათა პარტიის (ქმპ) ლიდერი აბდულა ოჯალანი, მეტსახელად აპო, 1999 წელს კენიაში სპეცოპერაციის შედეგად დააკავეს და ამჟამად თურქეთის საპატიმროში საგანგებო მეთვალყურეობის ქვეშ იხდის სასჯელს. ოჯალანის დაკავების შემდეგ პარტიის აქტიურობა მნიშვნელოვნად შესუსტდა.

ამერიკისა და დასავლეთ ევროპის ქვეყნების ქურთისტანის ეროვნულ-განმათავისუფლებელმა ფრონტმა გაავრცელა განცხადება, რომელშიც ეწერა, რომ საქართველოს ხელისუფლებამ მომხდარი თურქეთის გულის მოსაგებად ჩაიდინა და ანალოგიური ქმედება 1997 წელსაც მოხდა. საქართველოს უშიშროების სამინისტროს განცხადებით, თურქეთის საელჩოდან მოვიდა თხოვნა, რომ თურქეთის მოქალაქეებისათვის საკუთარ ტერიტორიაზე დაბრუნების საშუალება მიეცათ. ქართულ მოსახლეობაში გავრცელებული მოსაზრებით, დაკავებული ქურთები იმ დროისათვის თურქეთში დაკავებულ ქართველ ბავშვებში გაცვალეს.[114] ექვსი ქართველი ბავშვი 1998 წლის აგვისტოში თურქეთში საზაფხულო ბანაკში ყოფნისას თარიქ ქარაელის მკვლელობაში ბრალდებით დააკავეს. სამი არასრულწლოვანი ექვმიტანილი 1998 წლის დეკემბერში გაათავისუფლეს. სასამართლომ დანარჩენი სამი მსჯავრდებულის უდანაშაულობა მხოლოდ რვათვიანი პატიმრობის შემდეგ აღიარა.[115] დარჩენილი სამი ბავშვის განთავისუფლება თურქეთისათვის დაკავებული ქურთების გადაცემიდან რამდენიმე დღეში მოხდა.

2003 წელს ცენტრმა თავისი პოზიცია რამდენჯერმე ღიად დააფიქსირა და თბილისში ოჯალანის მხარდამჭერი აქციებიც მოაწყო. 2003 წლის 20 აგვისტოს ორგანიზაციის ინიციატივით „დედა ენის“ ძეგლთან აღინიშნა ქურთისტანის მუშათა პარტიის ხელმძღვანელობით დაწყებული ქურთული აჯანყების 25

114 თეა რუსიტაშვილი, „ოჯალანის მომხრეები საქართველოს ტერაქტებით ემუქრებიან. გადასცა თუ არა საქართველომ თურქეთს „ქურთი პატრიოტები"?", *ალია*, №52, 3-4 აპრილი, 1999; მაია ჩიკვაიძე, „რა ვიცით კიდევ ერთი ეთნიკური უმცირესობის - იეზიდების საქართველოში არსებობისა და ყოფის შესახებ", *ახალი ვერსია*, №5, 2-8 თებერვალი, 2004.

115 თურქეთში დაკავებული ბავშვების განთავისუფლების შესახებ იხ.: ანი მიროტაძე, „თურქეთში დაპატიმრებული ქართველი ბავშვები გაათავისუფლეს", *ახალი თაობა*, №80, 24 მარტი, 1999; „ქართველი მოზარდების სასამართლო პროცესი კანონზომიერ დასასრულამდე მივიდა", *საქართველოს რესპუბლიკა*, №77, 24 მარტი, 1999; თეა ბარამიძე-ვილი, დავით იაკობაშვილი, „ჩვენ ერთი მატჩი წავაგეთ მხოლოდ", *დილის გაზეთი*, №65, 26 მარტი, 1999.

წლისთავი.[116]

პოლიტიკური აქტიურობით გამოირჩეოდა ცნობილი „ქურთული კულტურის ცენტრი“, რომელიც 1992 წელს შეიქმნა. 1999 წლიდან ცენტრმა ხელახალი რეგისტრაცია გაიარა და სახელმწიფოს მიერ გამოყოფილი თანხით ცენტრისათვის ოფისიც შეიძინეს, მაგრამ ორგანიზაცია უკვე დიდი ხანია აღარ ფუნქციონირებს.

საქართველოში ბოლო წლებში ასევე მოღვაწეობს ქურთ-ეზიდთა ეროვნული კონგრესი (თავმჯდომარე აგიტ მირზოევი),[117] გიორგი შამოევის სახელობის ქურთების უფლებებისა და რელიგიურ-კულტურული მემკვიდრეობის დაცვის საერთაშორისო ფონდი (თამაზ ავდალიანი), საქართველოს ეზიდთა ახალგაზრდული კავშირი (ილონა ქოჩოი), საქართველოს ქურთ-ეზიდ ქალთა დამოუკიდებელი ლიგა (ლილი საფაროვა),[118] საქართველოს ქურთი ინტელიგენციის კავშირი (დიმიტრი ფირბარი), ეზიდთა ტრადიციების დაცვის ცენტრი „რაზიბუნი“ (დღეისათვის არ ფუნქციონირებს), ქურთისტანის კვლევის საერთაშორისო ცენტრი, საქართველოს ქურთთა კავშირი და სხვ. 2007 წლიდან ქურთული ორგანიზაციების უმრავლესობა (საქართველოს ეზიდთა ახალგაზრდული კავშირი, ქურთ-ეზიდთა ეროვნული კონგრესი, გიორგი შამოევის სახელობის ქურთების უფლებებისა და რელიგიურ-კულტურული მემკვიდრეობის დაცვის საერთაშორისო ფონდი, საქართველოს ქურთ-ეზიდ ქალთა დამოუკიდებელი ლიგა, საქართველოს ქურთი ინტელიგენციის კავშირი, ქურთული მოსახლეობის უფლებების დაცვის ლიგა) პერიოდულად ერთობლივ ღონისძიებებსაც ატარებს.

116 „У Памятника "Дэда Эна"", *Новый Взгляд*, №7, 2003.

117 Караманова М., „Езидская Молодежь: Реалии и Перспективы", *Новый Взгляд*, №1, 2003.

118 Казазян А., „В Тбилиси создана организация курдских женщин Грузии", *Новый Взгляд*, №8-9, 2003.

ყველა ქურთული ორგანიზაცია რეგულარული ფინანსური დახმარების გარეშე მუშაობს. ისინი რელიგიური ან ეროვნული დღესასწაულებისადმი მიძღვნილი ღონისძიებებისათვის პერიოდულად უმნიშვნელო სახელმწიფო ან კერძო დაფინანსების უზრუნველყოფას ახერხებენ. იშვიათია საერთაშორისო ორგანიზაციების ფინანსური მხარდაჭერა. არც უცხოეთში მოღვაწე ქურთული ორგანიზაციებისგან იღებენ დახმარებას. აღნიშნული ფაქტორების გამო, საქართველოში მოღვაწე ქურთული ორგანიზაციების როლი ქურთების წინაშე არსებული პრობლემების გადაწყვეტაში საკმაოდ სუსტია.

# ᲑᲘᲑᲚᲘᲝᲒᲠᲐᲤᲘᲐ


1. ბაკაშვილი, ზ., „შევარდნაძე ქართველებსა და ქურთებს შორის კონფლიქტს აღვივებს“, *ახალი თაობა*, №336, 6 დეკემბერი, 2002.
2. ბარამიშვილი, თ., იაკობაშვილი დ., „ჩვენ ერთი მაცნი წავაგეთ მხოლოდ“, *დილის გაზეთი*, №65, 26 მარტი, 1999.
3. ბაღჩოე ისკო, *ქურთები ამიერკავკასიაში*, საქართველოს სსრ საზოგადოება „ცოდნა“, სახელმწიფო გამომცემლობა „საბჭოთა საქართველო“, თბილისი, 1963.
4. გუგუშვილი, პ., *საქართველოს სსრ მოსახლეობის აღწარმოების საკითხები*, გამომცემლობა „მეცნიერება“, თბილისი, 1973.
5. დვალი, ს., „იეზიდები წინაპართა გვარების აღდგენას ითხოვენ“, *აქცენტი*, №11, 20-26 მარტი, 2003.
6. თოფურია, პ., *აღმოსავლეთ ამიერკავკასიის პოლიტიკური ერთეულები XI – XII საუკუნეებში*, თბილისი, 1975.
7. თუმანიშვილი, ლ., „როცა ძმას უჭირს“, *საქართველოს რესპუბლიკა*, №152, 3 აგვისტო, 1991.
8. კიკნაძე, რ., „ქართული ტოლერანტობა და ქურთული თვითდამკვიდრება“, *ტრიბუნა*, №36, 11 ნოემბერი, 2002.
9. კომახია, მ., *ქურთული მოსახლეობა საქართველოში*, გაეროს ლტოლვილთა უმაღლესი კომისარიატი, საქართველოს გაეროს ასოციაცია, თბილისი, 2004.
10. კუცია, კ., „ირანის ქურთული საამიროს – არდალანის ქართველი გამგებლები (მე-17 საუკუნის ბოლო – მე-19 საუკუნის პირველი ნახევარი)“, *თსუ შრომები*, №338, 2001.
11. მალაციძე, ი., „ქურთები რელიგიური სახლის დაარსებას აპირებენ თბილისში“, *რეზონანსი*, №72, 29 მაისი, 1996.
12. მარგიანი, ლ., „იეზიდად უნდა დარჩე“, *24 საათი*, №160, 9

ნოემბერი, 2002.
13. მაჭარაძე, ვ., *ასპინძის ბრძოლა*, თბილისი, 1957.
14. მენთეშაშვილი, ა., „ქურთ-იეზიდთა სოციალურ-პოლიტიკური ორგანიზაციის საკითხისათვის თანამედროვე ერაყში“, *მაცნე*, №4, „მეცნიერება“, თბილისი, 1967.
15. მენთეშაშვილი, ა., *ახლო აღმოსავლეთის ქურთების ისტორიის საკითხები (X – XX სს.)*, თბილისი, 1978.
16. მენთეშაშვილი, ა., *ქურთები და ქურთისტანი*, „საბჭოთა საქართველო“, თბილისი, 1977.
17. მერკვილაძე, ი., „ქურთები საქართველოში“, დილის გაზეთი, №270, 19 ნოემბერი, 2002.
18. მესხია, შ., *საშინაო პოლიტიკური ვითარება და სამოხელეო წყობა XII საუკუნის საქართველოში*, თბილისი, 1979.
19. მიროტაძე, ა., „თურქეთში დაპატიმრებული ქართველი ბავშვები გაათავისუფლეს“, *ახალი თაობა*, №80, 24 მარტი, 1999.
20. ნამორაძე, მ., „ქურთები საქართველოზე უარს აცხადებენ“, *ახალი თაობა*, №310, 10-16 ნოემბერი, 2002.
21. რუსიტაშვილი, თ., „ოჯალანის მომხრეები საქართველოს ტერაქტებით ემუქრებიან, გადასცა თუ არა საქართველომ თურქეთს „ქურთი პატრიოტები“?“, *ალია*, №52, 3-4 აპრილი, 1999.
22. სონღულაშვილი, ა., *ეროვნულ უმცირესობათა კულტურა საქართველოში*, თბილისი, „მეცნიერება“, 2002.
23. ტოგარ ბროევი, *ქურთები საქართველოში*, საქართველოს სსრ საზოგადოება „ცოდნა“, თბილისი, 1984.
24. ჯაოშვილი, ვ., *საქართველოს მოსახლეობა XVIII-XX საუკუნეებში* (დემოგრაფიულ-გეოგრაფიული გამოკვლევა), *საქართველოს მოსახლეობის ეროვნული შემადგენლობის დინამიკა 1959-1979 წლებში*, გამომცემლობა „მეცნიერე-

ბა“, თბილისი, 1984.

25. ჩიკვაიძე, მ., „რა ვიცით კიდევ ერთი ეთნიკური უმცირესობის – იეზიდების საქართველოში არსებობის და ყოფის შესახებ“, *ახალი ვერსია*, №133, 2-8 თებერვალი, 2004.

26. საქართველოს სტატისტიკის სახელმწიფო დეპარტამენტი, *საქართველოს მოსახლეობის 2002 წლის პირველი ეროვნული საყოველთაო აღწერის შედეგები*, ტომი I, თბილისი, 2003.

27. „„სახალხო განათლებისა“ და „საქართველოს“ რედაქციებს (1989 წლის 6 ივნისი)“, *სახალხო განათლება*, №5, 1 თებერვალი, 1990.

28. „ქართველი მოზარდების სასამართლო პროცესი კანონზომიერ დასასრულამდე მივიდა“, *საქართველოს რესპუბლიკა*, №77, 24 მარტი, 1999.

29. Аверьянов, П. И., *Курды в войнах России с Персией и Турцией в течение XIX столетия. Современное политическое положение турецких, персидских и русских курдов. Исторический очерк*, Тифлис, 1900.

30. Амоев, К., *Курдский вопрос в международных договорах*, Тбилиси, 2007.

31. Амоев К., „Курдские диаспоры за рубежом, проблемы и перспективы“, *Perspective-XXI*, Tbilisi, 2005.

32. Амоев К., *Езидские священные книги*, Тбилиси, 1999.

33. Анкоси, К., *Племена курдов-езидов на Южном Кавказе и в Германии*, Тбилиси, 2004.

34. Анкоси, К., *Фарзе братийе у Езидов*, Тбилиси, 1996.

35. Аристова, Т.Ф., *Курды Закавказья*, Москва, 1966.

36. Ашири, Ш., „Содружество Независимых Государств, Судьбы и Надежды“, *АЗИЯ и АФРИКА сегодня*, 2/1998.

37. Ахмед Хани, *Мам и Зин*, (Критический текст, предисловие и перевод М. Руденко), „Восточная литература“, Москва,

1962.

38. Баязиди Мела Махмуд, *Нравы и обычаи курдов*, (перевод М.Б. Руденко), Москва, 1963.

39. Бердзенишвили, Л., „Интервью с президентом курдской ассоциации „Ронай“ Юрием Набиевым“, *Свободная Грузия*, №169, 12/12/1992.

40. Васильева, Е.И., *Шараф-хан Бидлиси (эпоха, жизнь, бессмертие)*, „Наука“, СП, 2003.

41. Васильева, Е.И., „Книга по истории Курдистана, которая остается ненайденной“, *Курдский альманах*, №1, „Центр курдских исследований“, Москва, 2001.

42. Вильчевский, О. Л., *Очерки по истории езидства*, „Атеист“, №51, Москва, 1930.

43. Джалиле Джалил, *Курды Османской империи в первой половине XIX века*, Москва, 1973.

44. Джафаров М., *Ностальгия*, Тбилиси, 2004.

45. Джафаров, М., „Очередное бегство: в чем истинная причина?“, *Новый Взгляд*, №7, 2003.

46. Джафаров, М., „Интервью главным редакторам газеты „Риа таза“ Амарике Сардар“, *Новый Взгляд*, 2003, №3.

47. Джафаров, М., “В Гостях у „Кавказсково Дома““, *Новый Взгляд*, №1, 2003.

48. Егиазаров, С. А., *Краткий этнографический очерк курдов Эриванской губернии*, Тифлис, 1884.

49. Казазян, А., „В Тбилиси создана организация курдских женщин Грузии“, *Новый Взгляд*, №8-9, 2003.

50. Караманова, М., „Езидская Молодежь: Реалии и Перспективы“, *Новый Взгляд*, №1, 2003.

51. Карцев, Ю., *Заметки о курдах*, Тифлис, 1896.

52. Карцев, Ю., *Заметки о турецких езидах*, Тифлис, 1886. ЗКОИРГО кн. XIII, вып. 2, Тифлис, 1891.

53. Комахия, М., „Курды-езиды Грузии: вопросы этнического самосознания и консолидации“, *Центральная Азия и Кавказ*, № 2 (38), 2005.

54. Комахия, М., „Курды-езиды Грузии“, *სოლიდარობა*, №7, 2006.

55. Лазарев, М.С., *Курдский вопрос (1891 1917)*, Москва, 1972.

56. Лерх, П. И., *Исследования об иранских курдах и их предках, северных халдеях*, Кн. 1-3. СПб., 1856 - 1858.

57. Лихутин, М., *Русские в Азиатской Турции в 1854 и 1855 гг.*, Петербург, 1863.

58. Луконин, В. Г., *Культура Сасанидского Ирана*, Москва, 1969.

59. Маевский, В. Т., *Военно-статистическое описание Ванского и Битлисского вилайетов*, Тифлис, 1904.

60. Марр Н. Я., „Еще о слове челеби“, *К вопросу о культурном значении курдской народности в истории Передней Азии*, ЗВОРАО, 20, 1910.

61. Мачарадзе, В. В., *Грузинские документы по истории грузино-курдско-ассирийско-русских взаимоотношений (60 - 70-х гг. XVIII века)*, Тбилиси, 1989.

62. Мах Шараф-ханум Курдистани, *Хроника дома Ардалан*, (Тарихи-и Ардалан, перевод с персидского, введение и примечания Е. И. Васильевой), „Наука“, Москва, 1990.

63. Ментешашвили, А. М., *Курды (очерки общественно-экономических отношений, культуры и быта)*, “Наука”, Москва, 1984.

64. Минорский, В., *Курды*, Петроград, 1915.

65. Мразе Узо, „Курдскому институту в Париже 20 лет“, *Новый Взгляд*, №1, 2003.

66. Никитин, В., *Курды (пер. с франц.)*, Москва, 1964.

67. Пашаева, Л. Б., „Поселение курдов в Грузии“, *Материалы для этнографии Грузии (сборник на груз. яз)*, ИИЭ им. Ив. Джавахишвили, Тбилиси, 2004.

68. Пашаева, Л. Б., *Религиозно-кастовые запреты в браке у курдов-езидов в прошлом*, КЭС, Тбилиси, 1988.

69. Пирбари, Д., *Езиды Сархада*, Тбилиси-Москва, 2008.

70. Пирбари, Д., Пашаева, Л., Надирадзе, Э., *Образцы курдской материальной культуры из Государственного музея Грузии*, Союз курдской интеллигенции Грузии и Государственный музей Грузии, Тбилиси - Москва, 2007.

71. Пирбари, Д., *Общественное устройство и внутреннее управление курдов*, Институт Курдистана и Передней Азии, Москва - Тбилиси, 2006.

72. Пирбари, Д., „Структура езидского общества курдов-езидов Южного Кавказа“, *Perspective-XXI*, Tbilisi, 2005.

73. Пирбари, Д., „Курды на Южном Кавказе“, *Восток и Кавказ*, №2 (сборник на груз. яз.), Тбилиси, „Саари“, 2004.

74. Пирбари, Д., *На Пути к Истине: Езидизм*, Тбилиси, 2003.

75. Пирбари, Д., „Езидское Письмо“, *კავკასიის ეთნოლოგიური კრებული, VIII, ივ. ჯავახიშვილის სახელობის ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტი, თბილისი*, 2003.

76. Сармакешян, Г., Геворкян З., Мирзоян Т., “Политика государства должна строится на основе научных знаний”, www.golos.am, 21/12/ 2006.

77. Сион вардапет Тер-Манвелян, *Езиды-курманж*, (на армянском языке), Ахалцихе, 1910.

78. Чарказе Раш, „Из истории русско-курдских сношений“, *Курдистан на перекрестках истории и политики (доклады научной конференции)*, Москва, 1994.

79. Шараф-хан ибн Шамсаддин Бидлиси, *Шараф-наме*, т. I, (перевод Е.И. Васильевой), Москва, 1979.

80. Хосров-ибн Бани Ардалан, *Хроника (История курдского княжеского дома Бани Ардалан)*, 1984.
81. „Встреча с Председателем Парламента Грузии Нино Бурджанадзе", *Новый Взгляд*, №3, 2003.
82. „Иезиды Ванского вилайета. Сводка сведений о сопредельных странах, добытых разведкой за время с 1-го по 15-ое сентября 1912 года", №30, Тифлис, 1912.
83. „Курдистан-98", *АЗИЯ и АФРИКА сегодня*, 2/1998.
84. „Немцы помогли Курдам Тбилиси приобрести офис", *Многонациональная Грузия*, №4, 2002.
85. „Презентация: В добрый путь „МИДИЯ"", *Новый Взгляд*, №7, 2003.
86. „Сводка сведений о сопредельных странах, добытых разведкой за время с 1-го мая по 1-е июня 1912 года", №23-24, Тифлис, 1912.
87. „У Памятника „Дэда Эна"", *Новый Взгляд*, №7, 2003.
88. „Читателям „Нового взгляда"", *Новый Взгляд*, №1, 2003.
89. Aleksanian, Z., „Armenia: Yezidis Losing their Land", *IWPR CRS*, №140, 1 August, 2002.
90. Berman, I., „Flawed federalism", *The Washington Post*, 19 October, 2007.
91. Caplan, R. D., „Redrawing the Mideast Map", *New York Times*, 21 February, 1999.
92. Krikorian, O., „Being Yezidi", *Transitions Online*, 11 ovember, 2004.
93. Toumajan, M., „Armenian Census Results", *Armenian News etwork/Groong*, 27 February, 2004.
94. Orujev, R., „Azerbaijan: Kurds Targeted Again", IWPR CRS, №174, 11 April, 2003.
95. „Iraqi Kurdistan: Does independence beckon?", *The Economist*, 6 September, 2007.

96. *The Economist*, 6 September, 2007.
97. Alakom, R., „Mîsyonerên swêdî li Serhedê (1898-1921)“, www.nefel.com, 2008-03-02.
98. Anholm, M., *När och Fjärran*, nr 9/1946.
99. Anholm, M., *Ett Gammalt missionsintresse*, När och Fjärran, nr 3, 1946.
100. Anholm, M., *Jesiderna, När och Fjärran*, nr 11, 1931.
101. Anholm, M., *Missionen och Österlandets djävulsdyrkare, Svensk Missionstidskrift*, sjunde årgången 1919.
102. Anholm, M., *Jesiderna (djäfvulsdyrkare)*, Stockholm, 1902.
103. Anholm, M., *Jesider och Djäfvulsdyrkare*, Hemåt, januari-1899. Jesider eller djäfvulsdyrkare, Hemåt, januari 1899.
104. Anholm, M., *Djäfvulsdyrkare, Hemåt*, nr 2, 1895. Gammel-Svenskby och jesiderna, nr 11, 1895.
105. Anholm, M., *I Gogs och Magogs land*, Stockholm, 1895.
106. Hultvall, J., *Mission och vision i Orienten*, Stockholm, 1991.
107. Kascha Ibrahim Temros, *Jesiderna, När och Fjärran*, nr 1, 1914.
108. Öbergm, I., *Jesiderna*, Hemåt, nr mars/1902.
109. Sarwe, W., *Bland Ryssland folk*, vol.I, Stockholm, 1927.
110. Sarwe, W., *Jesiderna*, När och Fjärran, nr 3, 1905.
111. Sarwe, W., *Från Kaukasien*, Missionsförbundet, nr 4, 1902.
112. Sundvall, E., *Barnhemmet bland jesiderna i Kaukasien*, Missionsförbundet, nr 8, 1910.
113. Vid Ararats fot av E. John Larsson, med bidrag av Olga Moberg och Theod. Anderson, Stockholm, 1919.
114. Bedirxan, Ebdurrizaq (avtobîografîya), (werger û amadekar Celîlê Celîl), Berlin, 1999.
115. Kaniya Sipî,№5, 2003.
116. Pîr Dîma, „Gora Kamil beg Bedirxanî dike gazî!!!“, 2006-08-18, www.nefel.com.

117. Hecîyê Cindî, *Hewarî*, Yêrêvan, 1967.

118. Ehmedê Şewêş, *Bîranînêd min*, „Hayastan“, Yêrêvan, 1966.



# გეოგრაფიულ სახელთა და პირთა საძიებელი


აბდურაზაყ ბადრხანი 20
ადამი 45, 46
ავდალიანი თამაზ 85
ავერიანოვი პ. ი. 20
აზერბაიჯანი 11, 22, 32, 34, 63, 69, 71
ალეპო 35
ალი 20, 59
ამარიკე პოლაცი 20
ამოევი ქერიმ 77
ანყოსი ქერიმ 77
ანპოლმი მარია 25-28, 31, 94
აპარანი 22
არაბე შამო 59
არაბი 5, 8, 11-13, 38, 41-42, 51
არარატი 22
არდალანი 15, 87
არდაღანი 20
ასპინძა 16, 32, 88
ასურელი 16, 30
აცაშოვი როსტომ 82
აფრინი 35
აშტარაკი 22
აშშ 6, 30
აწყური 32
აჭარა 15, 31, 33
ახალქალაქი 32

ახალციხე 16, 32, 71
აჯამი 13
აჰმად ხანი 13, 75
აჰმადე შავეში 70-71, 75
ბაბილონი 12
ბადოე მამო 20
ბათუმი 31-32, 75
ბაიაზიდი 14, 19
ბასრა 14-15
ბატმანი 35
ბაღდადი 14-15, 36
ბაღჩოე ისკო 68-69, 72, 75, 87
ბახტაძე კოტე 69
ბაჰდინანი 36
ბოჰტანი 36
ბორჩალო 32
ბურჭულაძე ნემო 82
განძაკეცი კირაკოს 12
გარდაბანში 31
გერმანია 35, 82
გონიო 32
გორანი 73
გურიანთა 31
გურჯი 13, 15
დასნი 31, 36
დაუდი 31
დიარბაქრი 35
დიდუბე 23

ეგვიპტე 14
ევა 45, 46
ეზიდი 8, 10, 18, 26, 35, 38-39, 47, 50, 52-53, 59, 61, 63, 65, 85
ერაყი 59
ერევანი 16, 21, 23, 30, 68, 69
ერეკლე II 15-16, 17
ვალე 32
ვანი 11, 21-23, 30
ვარდანი 12
ვარხანი 32
ვედათხევა 31
ვერანშაპარი 35
ზაგროსი 11, 78
ზაზა 73, 81
ზოროასტრი 39, 41
თბილისი 5, 12-13, 15-16, 20, 22-23, 25-27, 29-33, 60-61, 64-66, 68-69, 71-72, 74-76, 82-84, 87-89, 92
თელავი 31, 33
თემურ ხან აჯარლუ 15
თიანეთი 31
თმოგვი 71
თურქი 18, 21, 31, 38, 71
თურქეთი 5-6, 14, 18-19, 21-22, 30-31, 35, 73, 83-84, 88
ირანი 5, 11, 15-16, 23, 41, 73, 78, 87
ისაია 16
ისრაელი 5
იუსუფ ქამილ ბეი ბადრხანი 20, 69, 71
კავკასია 11-14, 18, 20, 23, 27, 30, 34, 58, 61-62, 68-69, 71-72,

80, 87, 92
კაპლანი რობერტ 5
კარდუხები 11
კასჩა იბრაჰიმ თემროსი 30
კახაბერი 32
კახეთი 15, 31
კურმანჯი 9, 42, 73, 79
ლალიში 36-38, 47-48, 58-60
ლარსონი 25
ლიხუტინი 20
ლუქსემბურგი 32
მაიან-ხათუნი 59
მალა მაჰმუდ ბაიაზიდი 14
მამედოვი მოროვ 75
მანდკი 31
მარდინი 35
მარი 12
მარი ნიკო 11
მესხია შოთა 12-13, 88
მთიანი ყარაბაღი 21, 63
მიდიელი 11
მინორსკი ვ. 11
მირზოევი აგიტ 85
მობერი ოლგა 25, 27, 29-30, 94
მოსკოვი 69
მუჰამად რეზა ბეგ გურჯი 15
მუჰამად ფაშა 19
მუჰამად ხან გურჯი 15

მხარგრძელი ზაქარია 12
მხარგრძელი ივანე 12
ნასაკირალი 31
ნაქალაქევი 71
ნპოე მპო 20
ობერი იდა 25, 27
ოზურგეთი 31, 33
ოკამი 32
ორთა ბათუმი 32
ორხევი 31
ოსმალთა იმპერია 14, 18, 62
ოჯალანი აბდულა 83-84, 88
პანინი 16
პარიზი 76
პასკევიჩი 19
რავადიდები 11
რაში 31
როქკი 31
რუმი 13
რუსეთი 16, 18-23, 30, 33, 35, 62
რუსთაველი 77, 79, 82
რუსთავი 33
სადახლო 32
სამცხე-ჯავახეთი 69, 71
სამხრეთ კავკასია 11, 13-14, 18, 20, 23-34, 58, 61-62, 68-69, 71
სარაი 22
სარვე 25, 27
სარკავაგი ზაქარია 12

სასანიდები 11
საფაროვა ლილი 85
საფრანგეთი 76, 78
საქართველო 7, 12-16, 20-23, 31-35, 48, 52, 59, 60-62, 64-66, 68-69, 71-73, 75-89
სიმონ კათალიკოსი 16
სიპკი 20, 31
სირია 5-6, 35, 37, 73
სისიანი 75
სოლოლაკი 23
სომხეთი 8, 11-12, 21-22, 34, 48, 52, 58-59, 60, 62-66, 75, 83
სორანი 73
სპარსელი 14, 38
სპარსეთი 11-12, 14-15, 18
სტალინი 31
სტამბოლი 14
სტოკჰოლმი 27
სულეიმან ბრწყინვალე 13, 14
სუნდვალი ელინ 25, 30
სურმალი 21, 23
ტალინი 22
ტერ-ასატურიანცი 30
ტიფლისი 22
ტოგარ ბროევი 69, 72, 75, 88
ტოლოში 32, 71
ტოტლებენი 16
უკრაინა 33, 35
ურაველი 32

ურმიის ტბა 73
უსუვ ბეგი 30
ფაშაევა ლამარა 77
ფირბარი დიმიტრი 66, 85
ფაყიე ტაირანი 13
ქართველი 11-15, 69, 84, 87-89
ქართლ-კახეთი 15
ქედა 32
ქვეში 32
ქობულეთი 32
ქოჩოი ილონა 85
ქურთი 5-16, 18-23, 31-36, 42, 59, 60-69, 71-73, 75-88
ქურთისტანი 5-7, 9, 13-16, 19, 23, 35-36, 41, 57, 59, 73, 78-79, 83-85, 88
ქურთლარი 32
ყამიშლი 35
ყარსი 20-21, 23
ყვარელი 31
ყიზილბაში 14
ყირგიზეთი 31
ყირიმი 19
შალოშეთი 32
შარაფ ხან ბიდლისი 36
შაპრიზური 15
შედადიდები 11
შეიდ ბენ ჯარი 46
შეიხ ადი 35, 37-38, 41-42, 51, 58
შეიხანი 35, 57

შვედეთი 23, 27, 30
შკოე ჰასანი 75
ჩაქვი 32
ჩერქეზი 14
ჩობან აღა 16-17
წნორი 31
ჭავჭავაძე 19
ხერთვისი 32
ხირსა 31
ხორასანი 73
ხოსროვ ხან გურჯი 15
ხულო 32
ჯალილე აჯო 75
ჯანგირ აღა 21, 30
ჯარდოე ასადი 77
ჰასან აღა 18
ჰასაქა 35
ჰასნი 18
ჰაქარი 36
ჰაკიმი იდრის 14
ჰოიერი 25
ჰუსეინი სადამ 6, 8-9

## Summary

The book "Kurds in Georgia" examines historical relations between the Georgians and Kurds, settlement of Kurds in Georgia, and the mode of life, culture, education, mass media and organizations of the Kurds. Particular attention is paid to the religion of the Kurds living in Georgia  Yazidism, and impact of the religious factor on formation of self-consciousness of this people. The book offers unique materials depicting life of the Georgian Kurds, which are published in Georgian for the first time. It also describes various fields of life of the Kurds developing from 1990s until present. The book targets scientists engaged in issues related to Kurds living in Georgia, as well as the broad circle of readers.

